# ახალგაზრდა ივერიელი

დაარსდა 1921 წელს

23 ივლისი სამშაბათი 1991 № 85 (11718)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი — ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საპატრიარქოს სტუმარი



21 ივლისს საქართველოში ერთი დღით სტუმრად იმყოფებოდა რომის პაპის იოანე პავლე მეორის მრჩეველი დონ ჯოვანი ერკოლე. საქართველოს საპატრიარქოში საპატიო სტუმარს შეხვდა და ესაუბრა ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), რომელმაც კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რომის პაპის მრჩევლის ჩამობრძანება საქართველოში ჩვენს ეკლესიებს შორის ტრადიციული, კეთილი დამოკიდებულების ნათელი დადასტურებაა.

დონ ჯოვანი ერკოლემ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და თქვა, რომ კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები კვლავაც გააგრძელებენ და გაალრმავებენ თანამშრომლობას, რომელიც სიკეთეს მოუტანს ორივე ქვეყნის ხალხებს.

სტუმარმა მთავარეპისკოპოს კალისტრატეს გადასცა რომის პაპის სპეციალური მოწვევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელზე. ქართული ეკლესიის მწყემსმთავარი მიწვეულია ვატიკანში 28 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე. მასპინძელმა ილია მეორის სახელით მადლობით მიიღო მისი უდიდებულესობის ეს წინადადება.

იმავე დღეს იტალიელი სტუმარი ერევანს გაემგზავრა.

**სურათზე: რომის პაპის პავლე იოანე მეორის წარმომადგენელი დონ ჯოვანი ერკოლე მეუფე კალისტრატესთან შეხვედრის დროს საქართველოს საპატრიარქოში.**

**ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# რა ხდება საქართველოს ეროვნულ კონგრესში?

საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის დადგენილებით 29 ივლისამდე შეჩერებულია კონგრესში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის უფლებამოსილებანი. ფაქტი, თავისთავად, მრავლისმეტყველია. წელიწადიც არ გასულა მას შემდეგ, რაც საქართველოში ეროვნული კონგრესი შეიქმნა. მის შემადგენლობაში შევიდნენ პარტიები, რომლებიც შემდეგ საარჩევნო ბლოკებში იყვნენ გაერთიანებული: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და დემოკრატიული პარტიის ბლოკი, დემოკრატიული საქართველო, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირი, კომუნისტური პარტიის დემოკრატიული ფრაქცია, სახალხო პარტია და ინვალიდთა ასოციაცია, საქართველოს მოქალაქეთა ლიგა. დღეს კი უკვე დაისვა საკითხი ეროვნული კონგრესის შექმნის ერთ-ერთი მოთავისა და შემდგომში მისი ერთ-ერთი წამყვანი და საყრდენი პარტიის კონგრესიდან გარიცხვის შესახებ. ნიშნავს თუ არა ეს ფაქტი ამ პოლიტიკური ორგანიზაციის კრახს, რა გახდა ასეთი რადიკალური გადაწყვეტილების მიღების საფუძველი და რა პერსპექტივები აქვს მომავალში საქართველოს ეროვნულ კონგრესს? — ამ კითხვებზე გვიპასუხებენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე **გია ჭანტურია** და საქართველოს ეროვნული დმოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე **ირაკლი წერეთელი**.

**(დასასრული მე-8 გვ.).**

# განცხადება

ძვირფასო თანამოძმენო!

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირთან ასოცირებულ წევრად შესვლასთან დაკავშირებით მოწვეული ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების საგანგებო დიდი დარბაზი ნაცვლად კინოთეატრ „რუსთაველის“ დარბაზისა, გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის საკონფერენციო დარბაზში, 27 ივლისს საღამოს 5 საათზე.

მისამართი: 9 აპრილის (ყოფილი ჩიტაძის) ქუჩა № 6.

საზოგადოების წევრთა რეგისტრაცია იწარმოებს დღის 3 საათიდან.

საზოგადოების საგანგებო დიდ დარბაზზე საპატიო სტუმრებად მიწვეულნი არიან: სულნათელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილი, ქალბატონი ქეთევან ჩოლოყაშვილი მეუღლითურთ; შვილიშვილები, ქალბატონები მეგი ყირმელაშვილი და ცირა გელოვანი; შვილთაშვილები, ბატონები გური ხუნწარია და დათი კილაძე; ქართველ ტრადიციონალისტა კავშირის თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი აკაკი ასათიანი; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საბჭოს წევრები; საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი გიორგი ხოშტარია; საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, ეროვნული გვარდიის სარდალი, ბატონი თენგიზ კიტოვანი; ეროვნული გვარდიის „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის“ მეთაური, ბატონი ტარიელ აბუაშვილი.

ვიაროთ ღვთის გზით და ღმერთი ჩვენთან იქნება!

**ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების პრეზიდენტი.**

# საერთაშორისო ცხოვრება

აშშ სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ამთავრებს მორიგ დიპლომატიურ მისიას ახლო აღმოსავლეთში. თავისი მოგზაურობის დასასრულს ის შეეცდება დაარწმუნოს ისრაელის ლიდერები, მიიღონ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციის ამერიკული გეგმა. მანამდე მან მოიპოვა სირიისა და იორდანიის მხარდაჭერა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის საკითხში. ამასთანავე, საუდის არაბეთმა და იორდანიამ მხარი დაუჭირეს ეგვიპტის წინადადებას, შეწყვიტონ არაბული ქვეყნების ეკონომიკური ბოიკოტი ისრაელის მიმართ, თუ ისრაელი თავის მხრივ შეწყვეტს დასახლებების მშენებლობას ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, თუმცა ისრაელის მთავრობა უარს ამბობს ამ ორი პრობლემის ერთმანეთთან დაკავშირებაზე.

●

პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა მხარი დაუჭირა თურქეთის მიღებას ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრად, რასაც ეს ქვეყანა დიდი ხანია ცდილობს. სტამბულში ვიზიტის დროს ჯ. ბუშმა თქვა, რომ დემოკრატიული მმართველობისა და თავისუფალი მეწარმეობის 10-12 წელიწადმა თურქეთი ევროპის ამომავალ ვარსკვლავად აქცია, რომ ის უეჭველად იმსახურებს ევროპის თანამეგობრობისა და დასავლეთ ევროპის კავშირის წევრად მიღებას. ევროპის ეკონომიკური გაერთიანება ამ საკითხს 1992 წლის შემდეგ განიხილავს.

●

ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში ამჟამად სიმშვიდეა. გასულ კვირას აქ მოხდა შეიარაღებული შეტაკებები ქურთ ამბოხებულებსა და ერაყის მთავრობას შორის. ქალაქებში — ერბილსა და სულეიმანიაში — ერაყის არმიამ გამოიყენა ტანკები და არტილერია, რასაც მოჰყვა მსხვერპლი.

ამასობაში ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა გამოაცხადა პოლიტპატიმრების საყოველთაო ამნისტია. ის არ ვრცელდება მხოლოდ ერაყის შეიარაღებული ძალების ოფიცრებზე.

●

იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში პოლიტიკური კრიზისის დაძლევის მიზნით დანიშნულია ფედერალური პრეზიდიუმის კიდევ ერთი სხდომა. მანამდე რამდენიმე ანალოგიური სხდომა წარუმატებლად დამთავრდა.

ამავე დროს სლოვენიიდან დაიწყო ფედერალური არმიის ნაწილების გამოყვანა პრეზიდიუმის განკარგულების შესაბამისად. ხორვატიის პრეზიდენტიც ასევე მოითხოვს ჯარების გაყვანას ამ რესპუბლიკის ტერიტორიიდან, რაც ნაკლებად სარწმუნოა ხორვატიაში მცხოვრები მრავალრიცხოვანი სერბი მოსახლეობის გამო.

●

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მაღალი შეფასება მისცა პრეზიდენტ გორბაჩოვის ვიზიტს ლონდონში. ყირგიზეთის დედაქალაქში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, სადაც მან ხელი მოაწერა შეთანხმებას რუსეთსა და ყირგიზეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, ბ. ელცინმა თქვა, რომ მ. გორბაჩოვმა შეასრულა მოკავშირე რესპუბლიკების სურვილი და არ გაემგზავრა ლონდონში გაწვდილი ხელით.

როგორც იცით, საბჭოთა პრეზიდენტმა შვიდეულის ლიდერებისაგან მიიღო ძირითადად ტექნიკური და კონსულტაციური და არა პირდაპირი ფინანსური დახმარება. თვითონ გორბაჩოვის შეფასებით, ლონდონში მან მიაღწია შესაძლებლობათა მაქსიმუმს.

●

მოსკოვში მოძრაობა „დემოკრატიჩესკაია როსიას“ წევრებმა უარყვეს ედუარდ შევარდნაძის მოწოდება იმის შესახებ, რომ თუ ყველა დემოკრატიული მოძრაობა არ გაერთიანდება და არ შეიქმნება ერთიანი პარტია, შესაძლებელია დიქტატურისაკენ დაბრუნება. შევარდნაძის ეს წინადადება უარყვეს კიევშიც.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ამ ახალ ოპოზიციურ მოძრაობას სათავეში უდგას მრავალი ყოფილი პარტიული ფუნქციონერი და სწორედ ამით აიხსნება დემოკრატიულ მოძრაობათა წარმომადგენლების უნდობლობა მათ მიმართ.

●

ჩეხოსლოვაკიის პარლამენტმა მიიღო ვაცლავ ჰაველის მიერ შეტანილი კანონპროექტი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ ჩეხეთისა და სლოვაკიის რესპუბლიკებს შორის მომავალი ურთიერთობის საკითხზე. შესაბამისი მოლაპარაკებები ამ რესპუბლიკების ლიდერებს შორის ჯერჯერობით უშედეგოდ მიმდინარეობს.

**ირინა თევდორაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

**საქართველოს** რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის კონცეპტუალური პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა საჭიროებს ეკონომიკის აღნიშნულ სფეროში რეალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას. ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებთან. საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია, საყოველთაოდ ცნობილია, მისი სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაა. რაც შეეხება პროგრამაში ასასახავ, განსახორციელებელი რეფორმების კონკრეტულ მიმართულებებს, მე, პირადად, ის შემდეგნაირად მესახება. — საქართველოს საგარეო-ეკონომიკიური ურთიერთობები შეიძლება იყოს სამი სახის:

— ურთიერთობები უშუალოდ „საკავშირო" იმპერიასთან;

— ურთიერთობები კიშინიოვის ფორუმში მონაწილე ქვეყნებთან (თავდაპირველად);

— ურთიერთობები მესამე ქვეყნებათნ.

**ურთიერთობები უშუალოდ „საკავშირო" იმპერიასთან.** საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ 9+1 ფორმულით იმპერია საქართველოსთან ურთიერთობებს ამყარებს როგორც უცხო სახელმწიფოსთან. ამით იმპერიამ, ნებსით თუ უნებლიედ, დე-ფაქტო ცნო საქართველო დამოუკიდებელ, უცხო სახელმწიფოდ, ე. ი. ცნო მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. აქედან გამომდინარე, იმპერია ცვლის ეკონომიკურ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით. საქმე რთულდება და მძიმდება იმით, რომ საქართველოში ფაქტობრივად ჯერ კიდევ არსებობს „საკავშირო" ეკონომიკური ინსტიტუტები (ფულად-საკრედიტო სისტემა, საფინანსო სისტემა, საბაჟო სამსახური და სხვა), რომელიც კრემლს შესაძლებლობას აძლევს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს რესპუბლიკის ეკონომიკური სამსახური, რაც იმპერიის მიერ წარმოებული ეკონომიკური ომის, ბლოკადის პირობებში რესპუბლიკის ეკონომიკას ძალზე კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებს. მოსალოდნელია კონფრონტაციის შემდგომი ესკალაცია. ყოველივე აქედან, გამომდინარე, ცხადია, უნდა შეიცვალოს ჩვენი ეკონომიკური კავშირურთიერთობების ფორმები „საკავშირო" იმპერიასთან, დაჩქარდეს დამოუკიდებელი ეკონომიკური ინსტიტუტების ფორმირება, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ეკონომიკური სიძნელეები და „საკავშირო" ეკონომიკური ინსტიტუტების არსებობის პირობებში რესპუბლიკაში ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებით უნებლიეთ არ გავაკეთოთ „საერთო-საკავშირო" საქმე, ე. ი. ხელი არ შევუწყოთ არსებული „საკავშირო" ეკონომიკური ინსტიტუტების განმტკიცებას. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში იმპერიასთან, ყოველგვარი „დიპლომატიური სვლების" გარეშე ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ნაღდი (უცხოური, კონვერტირებადი ვალუტა; ქართული ფულის შემოღებისთანავე, რიგ პროდუქციაზე არსებული საგარეო-ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია უნდა გამოვიყენოთ მისი კონვერტირებადობის ასამაღლებლად იმპერიასთან ურთიერთობაში) და უნაღდო (ბარტერი, კლირინგი, ლიზინგი და სხვა) ანგარიშსწორების ფორმები. თუკი, ისეთი სახელმწიფოები, როგორნიც იყვნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები (გდრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და სხვა) ცდილობდნენ შეეზღუდათ ვაჭრობა იმპერიასთან დევალვირებული „საბჭოთა" ფულით, თუკი მთელ მსოფლიოში პროდუქცია იყიდება დამლით — „გაიყიდოს ყველგან საბჭოთა კავშირის გარდა", მით უფრო გადამჭრელი ზომების მიღება გვმართებს ჩვენ აღნიშნული ურთიერთობების სფეროში.

**ურთიერთობები კიშინიოვის ფორუმში მონაწილე ქვეყნებთან.** ამ ქვეყნებთანაც ურთიერთობებს იმპერია აგებს, როგორც უცხო სახელმწიფოებთან, ეწევა რა მათ წინააღმდეგ შეუნიღბავ ეკონომიკურ ბლოკადას, მოხერხებულად მანიპულირებს „საკავშირო" შრომის დანაწილების სისტემით და სხვა ეკონომიკური ინსტიტუტებით, რაც ძალაუნებურად დღის წესრიგში აყენებს კონსოლიდაციის მოთხოვნას ყველა იმ რესპუბლიკაში, რომელნიც ესწრაფვიან დამოუკიდებლობას. საჭიროა შეიქმნას ერთგვარი ეკონომიკური კავშირი. ასეთ კავშირად, მე, წარმომიდგება **„ანტიიმპერიალისტური თავისუფალი ეკონომიკური კავშირი".** იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა-განმტკიცებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, ევროპის საერთო ბაზრის მოდელი (ნაწილობრივი უარი სახელმწიფო სუვერენიტეტზე, ზენაციონალური მართვის ორგანოები, ერთიანი ფულად-საკრედიტო, საბაჟო-სატარიფო სისტემა და სხვა) ვფიქრობ, დღეს ჩვენ არ გამოგვადგება. დღეს იმპერიალისტურად განწყობილ წრეებსა და „საბჭოთა" მეცნიერთა „პროგრესულ" ნაწილს, ასევე პრობლემებში ჩაუხედავ ევროპელ ობივატელს, უკვირს, ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებისა და ევროპის საერთო სახლის აშენების ფონზე რესპუბლიკის სწრაფვა „საკავშირო" ეკონომიკური ინსტიტუტების დე-ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს აშენებისაკენ. პასუხი ერთია — იქ ევროპის საერთო სახლს აშენებენ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოები ფართო დემოკრატიულ საწყისებზე, აქ კი, დაპყრობილ სუვერენიტეტწართმეულ სახელმწიფოებს სთავაზობენ დემოკრატიისა და ინტეგრაციის გორბაჩოვისეულ იმპერიალისტურ მოდელს. ამიტომ **„ანტიიმპერიალისტური თავისუფალი ეკონომიკური კავშირისათვის"** ყველაზე მისაღებად მიმაჩნია ურთიერთობების ის ფორმა, რომელიც გააჩნია **„ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას".** აღნიშნულ ასოციაციაში შემავალი ქვეყნები (შვეცია, ნორვეგია, ავსტრია, შვეიცარია, ფინეთი და სხვა) უარს არ აცხადებენ სუვერენიტეტის ელემენტებზე. ინარჩუნებენ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ავტონომიას, ტარიფებს მესამე ქვეყნებთან ურთიერთობებში, საკითხებს წყვეტენ ერთხმიანობის პრინციპით და სხვა. ჩემი აზრით, „ანტიიმპერიალისტური თავისუფალი ეკონომიკური კავშირის" შექმნის მნიშვნელობა უაღრესად დიდია, თუკი გავითვალისწინებთ მსოფლიოს რიგი მოწინავე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გადაჭარბებულ „დიპლომატიურ" სიფრთხილეს, რომელნიც ყოველნაირად ცდილობენ მოსალოდნელი დიქტატურის შიშით არ აანერვიულონ გორბაჩოვი და კონსერვატორები. დიდია, ჩემის აზრით, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივებიც: მასში შეიძლება შევიდნენ გარკვეული პირობების დაცვით სხვა ქვეყნები და ხალხები, ვთქვათ, სლოვენები, ხორვატები, სიქჰები და სხვები, რომელნიც ასევე ესწრაფვიან იმპერიალისტური მარწუხებისაგან განთავისუფლებას. თავისთავად ცხადია, რომ რაც უფრო მეტი ხალხით იქნება წარმოდგენილი ეს ორგანიზაცია, მით უფრო მაღალი იქნება მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაცია, თუკი ის ჩამოყალიბდებოდა, საფუძველს ჩაუყრიდა მსოფლიო მასშტაბით ანტიიმპერიალისტურ ფრონტს, რომელში შემავალი ქვეყნებიც მშვიდობიანი გზებით, საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით ესწრაფვიან დამოუკიდებლობას. მსოფლიო საერთაშორისო აზრი და ისეთი საერთაშორისო მსოფლიო ორგანიზაცია, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, არ შეიძლება გულგრილი დარჩეს იმ ხალხთა ინტერესებისადმი, რომელთაც არ წარმომადგენლობენ, თუკი მას მართლაც პრეტენზია აქვს იწოდებოდეს მსოფლიო ხალხების ნების გამომხატველ საერთაშორისო ორგანიზაციად, რაც ჩემის აზრით მას აიძულებს წამოვიდეს დიალოგზე, რომელსაც დღეს ასე გაურბიან მოსალოდნელი დიქტატურის შიშით საბჭოთა კავშირში. სასურველია „ანტიიმპერიალისტური თავისუფალი ეკონომიკური კავშირის" რეზიდენცია დაფუძნდეს თბილისში, რაც უდავოდ აამაღლებდა მის საერთაშორისო ავტორიტეტს. შესაძლებელი გახდება ეკონომიკის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გამომუშავება, ანტიიმპერიალისტური ეკონომიკური პროგრამის რეალიზაცია, სხვადასხვა პრეფერენციები. საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის დიდად მოიგებდა თუკი ამ ბრძოლას ჩვენ ვაწარმოებდით დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

**ურთიერთობები მესამე ქვეყნებთან.**

საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს მესამე ქვეყნებთან მრავალი ასპექტი აქვს. მე შევჩერდები მხოლოდ ერთ მხარეზე — საერთაშორისო მარკეტინგული სარეკლამო პოლიტიკის განსაზღვრის აუცილებლობაზე. მარკეტინგული სარეკლამო პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ყველა სხვა მეთოდებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მარკეტინგული სარეკლამო პოლიტიკის განმსაზღვრელი ბიჰევიორისტული პრინციპები, რომლის ძალითაც თუკი ჩვენ გვსურს საქმიანი წრეებისა და მომხმარებლების დაინტერესება რესპუბლიკის ეკონომიკით, საჭიროა მათმა ცნობიერებამ შემდეგი ეტაპები გაიაროს: **გათვითცნობიერება, ცოდნა, განწყობილება, უპირატესობის მინიჭება, და ბოლოს, აღიარება.**

მთელი მარკეტინგული სარეკლამო პოლიტიკა, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ორიენტირებული უნდა იყოს აღნიშნული პრინციპების რეალიზაციაზე. გათვითცნობიერებულობა და ცოდნა საჭიროებს ინფორმაციული პოლიტიკის გამომუშავებას და მის რეალიზაციას (საერთაშორისო ენებზე გამომავალი სამეცნიერო და პოპულარული პერიოდიკა, მონოგრაფიები, კინო-ფოტომასალა და ა. შ.). ეს შესაძლებლობას მისცემს უცხოელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უკეთ ჩაიხედონ რესპუბლიკის ეკონომიკის შესაძლებლობებში, ბუნებრივ სიმდიდრეებში, პოლიტიკურ სიტუაციასა და საკანონმდებლო საკითხებში. მაგრამ, მხოლოდ გათვითცნობიერებულობა და ცოდნა როდი კმარა უცხოელი პარტნიორების მოსაზიდად, საჭიროა შეიქმნას ისეთი ეკონომიკურ-პოლიტიკური კონიუნქტურა, საკანონმდებლო საკითხების ისეთი დახვეწა (ცხადია, ურთიერთსარგებლიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის პრინციპების დაცვით), რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ შექმნას კეთილსასურველი განწყობილება და აიძულოს მსოფლიოს საქმიანი წრეები კაპიტალის სარფიანად დაბანდებლად ვარგისი მსოფლიო ქვეყნების მრავალფეროვნებაში უპირატესობა მიანიჭონ სწორედ საქართველოს, აქედან აღიარებამდე კი უკვე ნაბიჯია.

**თამაზ ჯოლოხავა,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის საგარეო-ეკონომიკური ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.**

# საქმო ხიდი სუომისაკენ

**საქართველოს** მწერალთა სასახლეში გაიმართა საქართველო-ფინეთის საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია, რომელსაც ისტორიული მოვლენა უწოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა. თავის შესავალ სიტყვაში მან იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოების საქმიანობა მრავალმხრივ სასარგებლოდ წაადგება ორი ქვეყნის მომავალ კეთილმოსურნე ურთიერთობებს.

კონფერენციამ, რომელიც აკურთხა მეუფე თადეოზმა, აირჩია საზოგადოების გამგეობა. მასში შევიდნენ ის ადამიანები, ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საზოგადოების შექმნაში. მათ შორის არიან ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები მაია თომაძე, მუხრან მაჭავარიანი, ეთერ ალიბეგაშვილი, ზაურ შავაძე, მანანა სირაძე, სარგის ცაიშვილი, რევაზ სირაძე, მეუფე თადეოზი, დავით ჯაფარიძე და სხვები.

საზოგადოების საპატიო წევრებად კონფერენციამ აირჩია ჩვენი ფინელი თანამემამულე, ფინეთ-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე რენო სირაძე, ქართველების სიძე, ბატონი რობერტ ვინონენი და ფინელი ქალბატონი ნინა ესკური-კვაჭაძისა.

საქართველო-ფინეთის საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, მწერალი, ფინური ლიტერატურის მთარგმნელი ამირან კალაძე. საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით პრეზიდენტი განმარტავს ახლად შექმნილი საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს:

— ამ საზოგადოების შექმნა ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო. მის ხორცშესხმაში უდიდესი როლი შეასრულა შესანიშნავი მანდილოსნის, რენო სირაძის დედის, ეთერ ალიბეგაშვილის ძალისხმევამ. სწორედ მის ოჯახში დაიბადა ეს იდეა, ვინაიდან მისი შვილი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ფინეთთან. ჯერ კიდევ ჩვენი ძნელბედობის ჟამს, კომუნისტური რეჟიმის ბატონობის პირობებში, ქალბატონი ეთერი და მისი ქალიშვილი მანანა სირაძე, ლეგალურად და არალეგალურად, გადასცემდნენ ფინეთში მართალ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. ფასდაუდებელია საზოგადოების შექმნის საქმეში მისი ვიცე-პრეზიდენტის ზაურ შავაძისა და მაია თომაძის ღვაწლი. ცხადია, ამ იდეას ხორცშესხმა არ ეწერა, რომ არა ჩვენი ეროვნული მთავრობა და თვითონ ბატონი პრეზიდენტი, რომელთა უშუალო დახმარებით და თანადგომით აღსრულდა ჩვენი ჩანაფიქრი. სიმბოლურია, რომ კონფერენცია გახსნა „კალევალას" ქართულ ენაზე ამმეტყველებელმა მუხრან მაჭავარიანმა.

ჩვენი საზოგადოების მიზანი კეთილშობილური და საქმიანია. იგი ერთ დროს ხელოვნურად იზოლირებულ ფინელ და ქართველ ხალხს კიდევ უფრო დააახლოებს. ამასთან ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, უშუალო, პირდაპირი კულტურული და ეკონომიკური კავშირები დავამყაროთ ამ შესანიშნავ ქვეყანასთან, რომელმაც გვიჩვენა კლასიკური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება თავგანწირული შრომითა და ბრძოლით ნებისმიერი ძალის დამპყრობლისაგან თავის დაღწევა. ჩვენი მიზანია პატიოსანი ეკონომიკური და კომერციული კავშირების განვითარება, რაშიც კომპეტენტური სპეციალისტები დაგვეხმარებიან.

— რა პრობლემები აქვს ახლად შექმნილ საზოგადოებას?

— ჩვენს საზოგადოებას არა აქვს არანაირი ადგილსამყოფელი. ჩვენი დიდი, მაგრამ მოკრძალებული სურვილია, ერთ ჭერქვეშ ვიყოთ ეროვნულ მოძრაობაში ამაგდარ საზოგადოებასთან — ჰელსინკის კავშირთან. ეს იქნება ლოგიკური, რამეთუ ჩვენც უშუალოდ ჰელსინკთან გვექნება ურთიერთობები... რაც შეეხება ფინანსურ სიძნელეებს, იმედი გვაქვს, ვინც დაინახავს ჩვენ დიდ პერსპექტივებს, ყოველმხრივ დაგვეხმარება.

კონფერენციამ მიმართვა გაუგზავნა ფინეთ-საქართველოს საზოგადოებას ჰელსინკში. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

იმედია, ამიერიდან ფინეთ-საქართველოსა და საქართველო-ფინეთის საზოგადოებათა საერთო ძალისხმევით კიდევ უფრო გაღრმავდება კულტურული და ეკონომიკური ურთიერთკავშირები ჩვენს მოძმე ხალხებს შორის, რომლებსაც გეოგრაფიულმა სიშორემაც ვერ შეუშალა ხელი ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაში.

ქართველი ხალხისათვის მუდამ აღტაცების საგანი იყო მცირერიცხოვან, მაგრამ განსაცვიფრებლად შრომისმოყვარე და ზნეკეთილ ფინელთა თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეკლიან გზაზე, რამაც აღორძინა და ააყვავა კიდეც „კალევალას" მშვენიერი ქვეყანა! აქვე გვინდა გაუწყოთ, რომ ქართველ საზოგადოებაში დიდი სიხარული გამოიწვია ბატონ რენო სირაძის მოწოდებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ფინეთის პარლამენტში ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა საქართველოს მხარდამჭერი ჯგუფი, რაც უდავოდ სამაგალითო გახდება სხვა ხალხებისათვის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადის ჟამს.

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმ ღვაწლისათვის, რასაც თქვენი საზოგადოება და პირადად თქვენ ეწევით ჩვენი ხალხების ურთიერთგაცნობის უკეთილშობილეს საქმეში!

მშვიდობა და ბედნიერება ფინელ და ქართველ ხალხებს!

მშვიდობა მთელ მსოფლიოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**მაია ალუდაური,**
**საქინფორმის კორ.**

# გასწორება

ამა წლის 6 ივლისს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" № 78, გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია საქართველოს ოფიციალურ და არაოფიციალურ სტუდენტურ ორგანიზაციათა I კონფერენციის შესახებ და „მიმართვა სრულიად საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობისადმი".

ინფორმაციაში გაიპარა შემდეგი სახის შეცდომა, კერძოდ: დუშეთის სტუდენტთა საკრებულოს ნაცვლად აღნიშნული იყო დუშეთის საკრებულო.

მიმართვას ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად ხელს აწერენ შემდეგი უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციები:

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტური პროფკავშირი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტური თვითმმართველობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტური პროფკავშირები.

ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტური კავშირი.

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური კავშირი.

ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა საკოორდინაციო ცენტრი.

გორის ეკონომიკის ინსტიტუტის სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირები.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტთა კლუბი.

დუშეთის სტუდენტთა საკრებულო.

**სტუდენტური მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი.**
11. 07. 91 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგი რამ სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით

დღევანდელ უკიდურესობამდე დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, ეროვნებათშორის ურთიერთობების გამწვავებას თუ ეკონომიკურ კრიზისს ზედ დაერთო დანაშაულთა მკვეთრი ზრდა. მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ ტრიბუნიდან ხშირად გაისმის ისეთი ჰუმანური მოწოდებები, როგორიცაა სიკვდილით დასჯის გაუქმება; ეს იმიტომ, რომ ქართველებს ისტორიულად მოჰყვდგამს ადამიანის შენდობისა და პატიების უნარი. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მივმართე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანთა უფლებების დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს ავთანდილ იმნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბატონ ვაჟა აბაკელიას და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს უფროსს მერაბ რაფავას და ვთხოვე მათ, გამოეთქვათ თავიანთი აზრი. დღეს გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ ავთანდილ იმნაძესთან.

**— ბატონო ავთანდილ, რა აზრის ბრძანდებით უმაღლესი სასჯელის გაუქმების თაობაზე?**

— მე ცალსახად შემიძლია ამაზე გიპასუხოთ: ასეთი სასჯელი ცივილიზებულ სახელმწიფოში, იქ, სადაც დემოკრატიული ხელისუფლებაა, არ უნდა არსებობდეს. მთელი არსებით მომხრე ვარ, რომ სიკვდილით დასჯა გაუქმდეს. მაგრამ დღეს ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ამისათვის მზად არ არის. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ფაქტი, რომელიც ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე თვეებში გამომჟღავნდა. ამნისტია რომ გამოვუშვით, წარმოიდგინეთ, ძალიან ბევრი აღშფოთებულიც კი შეხვდა ამ ჰუმანურ აქტს. ხალხმა ვერ აღიქვა იგი, მოხდა კურიოზული ფაქტები. იმ ხანებში თუ რომელიმე პატიმარმა, რომელსაც არავითარი კანონიერი შეღავათი არ ერგებოდა და არც ამნისტია ეხებოდა, რალაც მანქანებით დაიხსნა თავი მართლმსაჯულების კლანჭებიდან და გათავისუფლდა, ყველა ჩვენ მოგვაწერეს — მკვლელები გამოუშვითო, ბანდიტებს გზა გაუხსენითო! იმდენად ღრმა არის ჩვენში გამჯდარი შურისძიების გრძნობა, უმაღლესი სასჯელის გაუქმებას შეიძლება დღესდღეობით ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი აღშფოთებულიც კი შეხვდეს. მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ისტორიაში გვაქვს ფაქტი უმაღლესი სასჯელის გაუქმებისა. თამარ მეფის პერიოდში დარბაზმა სიკვდილით დასჯა გაუქმებულად გამოაცხადა. მსგავსი შემთხვევა, თუ არ ვცდები, მსოფლიო ქვეყნების არც ერთ ისტორიას არ ახსოვს. ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ქართველი ერის გენში არის დიდი დემოკრატიული სულისკვეთება, რომელიც მიისწრაფვის იმისკენ, რომ ამგვარი სასჯელით დამნაშავის დასჯა საჭირო აღარ იყოს. უმაღლესი სასჯელი რომ გავაუქმოთ, ეს როდი ნიშნავს მძიმე დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. ამ შემთხვევაში დამნაშავეს მუდმივი ან ხანგრძლივი პატიმრობა უნდა მიესაჯოს, არც ამის პირობები გაგვაჩნია დღეს. საზოგადოების შემზადებასთან ერთად აუცილებელია გადავჭრათ ისეთი საკითხი, როგორიცაა პატიმრის ნორმალური ყოფაცხოვრება. დღევანდელ პირობებში ძნელია კაცს მუდმივი პატიმრობა მიუსაჯო. გავხსნათ ფრჩხილები, გულახდილად ვთქვათ, რომ ამის შესახებ ჩვენმა საზოგადოებამაც იცოდეს: დღევანდელი საბჭოთა სისტემის მიერ შექმნილ საპატიმროებში, ციხეებისა თუ ზონებში ისეთი პირობებია, რომ პატიოსანი კაცი პირუტყვსაც არ ამყოფებს იქ. მით უმეტეს ხანგრძლივი ან მუდმივი პატიმრობა როცა აქვს მისჯილი კაცს, მას სულ სხვაგვარი პირობები უნდა ჰქონდეს, უნდა აწარმოოს მცირე მეურნეობა, მიიღოს გაზეთი, ჟურნალი, უყუროს ტელეგადაცემებს და, ერთი სიტყვით, უნდა გააჩნდეს ყველაფერი, გარდა თავისუფლებისა.

**— ცნობილია, რომ ქართველი პატიმრები გაჰყავთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ჩემი პოზიცია არის ის, რომ არავითარ შემთხვევაში საქართველოდან პატიმრები არ უნდა იყვნენ გაყვანილნი, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ ხორციელდება. სამწუხაროდ, არა გვაქვს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონია. ყოველი შემთხვევისათვის, კომპეტენტური პირები ასე ხსნიან ამ საკითხს. მიუხედავად ამისა, მე მაინც წინააღმდეგი ვარ პატიმრების საქართველოდან გაყვანისა ორი მიზეზით. ჯერ ერთი, ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, და თუ კი ვაღიარებთ, რომ ვართ დამოუკიდებლები, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენვე უნდა შევასრულოთ პირობა და საზღვარგარეთ არ უნდა გავაგზავნოთ ჩვენი პატიმრები. მეორე, თუ კი ის რეციდივისტია, მე სესიაზეც წამოვაყენე წინადადება საქართველოში რომელიმე ზონის ლოკალიზაციისა და ამდაგვარი პატიმრების იქ მოთავსების თაობაზე. თუ ისეთი შემთხვევა იქნება, რომ პატიმარს თავისი ნებით სურს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასჯელის მოხდა, ამის დაშვება კიდევ შეიძლება. არც ისე ადვილია ჩვენს მატერიალურ და ფინანსურ პირობებში ამის გადაწყვეტა, მაგრამ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ და არაფრით არ დავუშვათ ქართველი პატიმრის რესპუბლიკის გარეთ გაყვანა.

**— თქვენი აზრით, რატომ მიიღო ჩვენში დანაშაულმა ასეთი მასობრივი ხასიათი და როგორ გესახებათ ამ მწვავე მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზა?**

— ეს ძალიან რთული საკითხია. წარმოიდგინეთ, მე რასაც ამ საკითხთან დაკავშირებით ვფიქრობ, ამის ხმამაღლა თქმაც არ მინდა: იქნებ ვერც კი გამიგონ სწორად. ჩემი აზრით, ეს არის ბუნებრივი მოვლენა. ჩვენ აპოკალიფსურ ეპოქაში ვცხოვრობთ, საუკუნის ბოლოს უდიდესი კატაკლიზმებია მოსალოდნელი. ყოველივე ამას ზედ დაერთო თავისუფლების სულის გაღვიძება. მიმდინარეობს იდეათა რევოლუცია: ურთიერთმოწინააღმდეგეთა სიმძაფრე გაორკეცდა. დამოუკიდებლობის გზაზე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა, ზოგიერთს კი ჰგონია, რომ ყველაფრის უფლება უკვე მოიპოვეს. ეს კი იმას ადასტურებს, რომ ადამიანთა ზნეობა კვლავ პირველყოფილ მდგომარეობაშია. ეპოქები მიდიან, ცივილიზაციები ვითარდებიან, მაგრამ ზნეობა, სამწუხაროდ, იგივე რჩება. მე ვფიქრობ, რომ ღმერთს ადამ და ევასთვის სამუდამოდ არ აუკრძალავს შემეცნების ხისთვის მიკარება. მან ეს გასაზღვრული დროით გააკეთა მანამ, სანამ ადამი და ევა ზნეობრივად არ განვითარდებოდნენ. იცით, რომ ეშმაკმა აცდუნა ისინი და შემეცნების ხილს აზიარა. მას შემდეგ დღემდე ასე მოდიოდა კაცობრიობა. ზნეობრივზე მაღლა შემეცნებას აყენებდა. გამოიგონა ადამიანმა გლუვი ქვა მიწის საჩიჩქნად, იმ წუთშივე თავისი ძმა მოკლა; გამოაწრთო რკინა, გააკეთა ბასრპირიანი მახვილი თავისი მსგავსის გასაგმირავად; გამოიგონა დენთი, დაუყოვნებლივ თოფი მომართა და ზარბაზნები ააგრუხუნა; აღმოაჩინა ატომური ენერგია, სასწრაფოდ შეუდგა ატომური ბომბის დამზადებას... და ასე მოდის ოდითგანვე. ზნეობა დარჩა შემეცნებაზე დაბლა და ამიტომაც ადამიანის შემეცნება ბოროტებისაკენ უფრო მიმართული, ვიდრე სიკეთისაკენ. ასეთი ისტორიული ექსკურსი იმიტომ გავაკეთე, რომ ეს მონაპოვარი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ზოგიერთს ისე ესმის, თითქოს უზნეობით იყოს მოპოვებული. ჩვენ, ქართველმა ხალხმა და ეროვნული მოძრაობის მონაწილეებმა ყოველივე ეს სიკეთეზე აგებული იდეური ბრძოლით, თავისუფლებისათვის დაუოკებელი წყურვილით, დემონსტრაციებით და მიტინგებით მოვიპოვეთ. უზნეობით, სისხლის ღვრითა და ბარბაროსული მეთოდებით ბოლშევიკებმა მიაღწიეს თავიანთ ბნელ ზრახვებს. სწორედ მათი უკუღმართი გადმონაშთის შედეგია დღეს მომრავლებული დანაშაულებათა ფაქტები. კომუნისტურმა რეჟიმმა საზოგადოებასა (რომელიც ფაქტიურად დაბეჩავებული და იდეოლოგიურ პატიმრობაში ჰყავდა) და დამნაშავეთა სამყაროს შორის უფსკრული გადო.

პირადი სარგებლობის მიუხედავად, ისე იყო თუ ასე, ისინი მაინც ახერხებდნენ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეული ბალანსის შენარჩუნებას. ამჟამად კი კომუნისტებმა, მოგეხსენებათ, ისტორიული გზატკეცილიდან ვიწრო ბილიკებზე გადაინაცვლეს, ხოლო საზოგადოება და დამნაშავეთა სამყარო ერთმანეთის პირისპირ დატოვეს. დაგროვილი ბოღმითა და ადამიანური ღირსებების ათასგზის გათელვით გადაგვარებულმა დამნაშავეთა სამყარომ თავისუფლად იგრძნო თავი და თარეშს მოუხშირა. ახალი დემოკრატიული მთავრობა კი ახალი გზების ძიებაშია. ეძებს გამოსავალს, ადგენს ახალი ჰუმანური ხიდის აგების პროექტს, რომელიც იზოლირებულ სამყაროსა და თანამედროვე საზოგადოებას შორის გაიდება. ვინც ჯერ კიდევ მთლად გადაგვარებული არ არის, ამ ხიდზე გამოვა, შეუნდობს ყველას, შეუნდობენ მასაც და ამ ცხოვრებაში თავის ადგილს იპოვის.

**— ბატონო ავთანდილ, როგორია თქვენი, როგორც ადამიანის უფლების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, სამომავლო გეგმები და მიზნები.**

— ჩვენი კომისიის მთავარი მიზანი თვადვე კომისიის დასახელებაში ძევს. ჩვენმა კომისიამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ არ შეილახოს ნებისმიერი ადამიანის უფლება, ვინც არ უნდა იყოს იგი, რომელი ეროვნების წარმომადგენელიც. ამ კომისიის მისია ძალზე დიდია, მან უნდა შექმნას ისეთი კანონები, რომლებიც დაიცავენ ადამიანის ღირსებას. მემკვიდრეობა, მოგეხსენებათ, როგორიცაა გვაქვს: არ არის ადამიანი, რომელსაც მცირეოდენი წყენა მაინც არ მიეღოს ადრინდელი ხელისუფლების მიერ, არ შელახულიყოს მისი ღირსება. ასე რომ, ბევრია ხელისუფლების მიერ განაწყენებულთა რიცხვი და რახან ჩვენც ხელისუფლება გვქვია, ასეთი ადამიანები ჯერჯერობით მაინც უნდობლად გვეკიდებიან. თუ გულისყურით არ მოვუსმინეთ, მათ შეძლებისდაგვარად არ დავეხმარეთ და როგორმე არ შევუმსუბუქეთ ის ტვირთი, რამაც აიძულა და ჩვენთან მოიყვანა, მათ ეჭვებს უფრო გავზრდით, ნელ-ნელა საერთო უნდობლობის ატმოსფეროს შევქმნით და ეს მთელ ერს დაღუპვამდე მიგვიყვანს. ჩვენი მიზანია, რომ საკითხები, რომელთა გამოც სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ადამიანები ჩვენ მოგვმართავენ, ბოლოს და ბოლოს ადგილობრივმა ორგანოებმა გადაწყვიტონ. უკიდურეს შემთხვევაში, საქმეში ჩვენი კომისია ჩაერევა და უსათუოდ დაიცავს მოქალაქის უფლებას.



ესაუბრა **მერაბ შათირიშვილი,**
**პატიმართა უფლებების დაცვის კომისიის წევრი**

# რა ხდება საქართველოს ეროვნულ კონგრესში?

(დასასრული)

**გ. ჭანტურია:** უწინარეს ყოვლისა მინდა განვაცხადო, რომ კონფლიქტის მიზეზი არ გამხდარა პიროვნული უთანხმოება. უბრალოდ, ცნობილი გახდა რამდენიმე ფაქტი, რომლებიც ადასტურებენ ირაკლი წერეთლისა და ზვიად გამსახურდიას ერთ ალიანსში ყოფნას. ამ თანამშრომლობის მიზანია ეროვნული კონგრესის შიგნიდან აფეთქება. ალიანსმა ჩვენი საწინააღმდეგო მუშაობა სხვადასხვა ფორმით კარგა ხანია დაიწყო. თავდაპირველად ჩვენს სხდომებსა და კრებებზე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრთა გამოუცხადებლობის გამო სისტემატურად არ იკრიბებოდა ქვორუმი, გვეშლებოდა მუშაობა, შემდეგ ი. წერეთელმა საქვეყნოდ გამოაცხადა, კონგრესმა ფუნქციონირება უნდა შეწყვიტოსო. ანტისაოკუპაციო მოძრაობაც ამ მიზნით წამოიწყეს. საერთოდ, ამ მოძრაობის საჭიროებას ჩვენც არ გამოვრიცხავთ, შეიძლება სხვა შემთხვევაში იგი ეფექტიანიც ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე იგი უაზრობაა. იგი მოგონილია იმისათვის, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია სასარგებლო და საჭირო საქმეს აკეთებს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი ხელისუფლებასთან ღვარძლიან და გესლიან ბრძოლას არის გადაყოლილი.

ყოველივე ეს და კიდევ ზოგიერთი სხვა მოვლენა გახდა მიზეზი კონგრესში არასასიამოვნო სიტუაციის შექმნისა. განვმარტავ, რომ კონგრესის მუშაობის რეგლამენტი ითვალისწინებს შემდეგ მომენტს: თუკი კონგრესში შემავალი რომელიმე პარტია ან პიროვნება თავის საქმიანობით დისკრედიტაციას უწევს მას, კონგრესი უფლებამოსილია გარიცხოს იგი თავისი რიგებიდან. იმის გამო, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და მისი ლიდერის პოზიცია სწორედ ამგვარ მიზნებს ემსახურება, კონგრესის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება თავისი შემადგენლობიდან ირაკლი წერეთლისა და მისი პარტიის გარიცხვის შესახებ. კონგრესმა პრეზიდიუმის დადგენილების მოქმედება ერთი თვით შეაჩერა. თუკი დანიშნულ დრომდე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია არ გაეკეთებს ოფიციალურ განცხადებას პრესის საშუალებით ან უშუალოდ კონგრესის სახელზე, პრეზიდიუმის დადგენილება ძალაში შევა.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საარჩევნო ბლოკიდან კონგრესის ოცმა წევრმა უკვე გამოხატა თავისი პოზიცია და ეროვნულ კონგრესში დარჩენა აირჩია.

იმის მიუხედავად, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ერთ-ერთი ძლიერი პარტიაა, მისი გასვლა ეროვნული კონგრესიდან არ ნიშნავს კონგრესში გაერთიანებული ეროვნული ძალების პოლიტიკურ მარცხს. პირიქით, იგი უფრო ჯანსაღი შემადგენლობით გააგრძელებს ბრძოლას თავისი მიზნების განსახორციელებლად:

**ი. წერეთელი:** არავითარი კონფლიქტი ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასა და კონგრესში გაერთიანებულ სხვა ძალებს შორის არ მომხდარა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პარტიები, რომლებიც ხალხს თავის არსებობას მხოლოდ დეკლარაციებით ახსენებენ, საქართველოს თავისუფლებისათვის ღირსეულ ბრძოლაში ჩვენ მოკავშირეებად და თანამებრძოლებად არ გამოგვადგებიან.

რაც შეეხება ჩემს გარიცხვას კონგრესიდან, ეს არის, ჩემის აზრით, უბრალოდ ახირება, ანდა ჩემი გამოწვევის ცდა. მე კვლავაც დაბეჯითებით ვიმეორებ: ვინაიდან ქართველმა ხალხმა არ გაიზიარა ჩვენი პრინციპები და აირჩია უზენაესი საბჭო, ჩვენ აღარ უნდა გვქონდეს პრეტენზია, რომ ვართ ერის ნების გამომხატველი ერთადერთი ორგანო. ჩვენი ხალხის ნება სწორედ ამ არჩევნებში გამოიხატება. მან მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარლამენტურ გზას. ეს არის ფაქტი, ამასთან, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ეროვნული კონგრესის არჩევნებში გამარჯვებული ბლოკია. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი თანამზრახველნი კი, ასე სამარცხვინოდ რომ „გაშავდნენ" საპრეზიდენტო არჩევნებში, ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის გარეშე ეროვნული კონგრესი უთუოდ დაკარგავს თავის მნიშვნელობას. სამწუხაროა, რომ თავის დროზე ეროვნულ კონგრესში მოხვდნენ ადამიანები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ პოლიტიკასთან. მათ შორის ჩვენი ბლოკის სიითაც გავიდა რამდენიმე კაცი, რომლებიც დღეს ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკში არიან. ფაქტობრივად, კონგრესიდან მხოლოდ ჩვენმა პარტიამ, წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ, მოქალაქეთა ლიგამ და აღდგინების პარტიამ, უერთგულა თავდაპირველ მიზნებს. კონგრესი აირჩიეს საოკუპაციო რეჟიმთან საბრძოლველად, ჩვენმა ოპონენტებმა კი ამ ბრძოლაზე უარი თქვეს, რადგან მათთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანია პრეზიდენტისა და მისი მომხრეების ლანძღვა. მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ავნონ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ამგვარი იდეებით შეპყრობილ ხალხთან თანამშრომლობა კი ჩვენი ღირსების დამამცირებლად მიგვაჩნია. ჩვენ ვაკეთებთ იმ საქმეს, რისთვისაც იყო მოწოდებული კონგრესი — ვებრძვით საოკუპაციო ჯარს საქართველოში.

ვინც იცნობს ჩვენი პარტიის პოლიტიკას, იცის, რომ შენიღბული მეთოდებით ბრძოლა ჩვენთვის არ არის დამახასიათებელი. ფარული პოლიტიკური ალიანსი გამსახურდიასთან წარმოუდგენელი სიყალბეა. 1990 წლის ნოემბრის რესპუბლიკურ პრესაში ჩვენ წამოვაყენეთ პირობები, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საფუძველი უნდა გამხდარიყო. არც ერთი ეს პირობა დღემდე არ არის გაზიარებული. ამიტომ რაღაც პოლიტიკურ თანამშრომლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ბოლოს მინდა განვაცხადო, რომ კონგრესის პრეზიდიუმის დადგენილებას ჩვენი გარიცხვის შესახებ არ ვცნობთ, არ ვთვლით თავს კონგრესიდან გასულად. მაგრამ არც ჩვენს „გამრიცხველებთან" თანამშრომლობას ვაპირებთ, თუკი ისინი ანტისაოკუპაციო მოძრაობაში არ გაერთიანდებიან.

**მაია ალუდაური,**
**მერაბ მანჯგალაძე,**
**საქინფორმის კორესპონდენტები**

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედ აქტორს ბ-ნ მერაბ ბალარჯიშვილს

ბატონო მერაბ,

მოგმართავთ თხოვნით, როგორც თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის რედაქტორს, დაგვიბეჭდოთ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის (საქართველოს კომპარტიიდან) წინადადებები საქართველოს კომპარტიის სტატუსთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, გარკვეულ უხერხულობას ვგრძნობთ იმის გამო, რომ კომპარტიასთან დაკავშირებული მასალის დაბეჭდვას ვითხოვთ თქვენს გაზეთში, მაშინ, როცა არსებობს კომპარტიის ოფიციალური გაზეთი „ცხოვრება". ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდე ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, გაზეთის ხელმძღვანელობამ ჯერ 13 ივლისიდან 17-ის ნომერში გადაიტანა აღნიშნული მასალის დაბეჭდვა, შემდეგ კი განსაზღვრული ვადით გადადო.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ გაზეთ „ცხოვრების" რედაქცია ამ მასალის „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნების შემდეგ მაინც შეუწყობს ხელს დისკუსიის განვითარებას ჩვენს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებათა ირგვლივ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი საქართველოს კომპარტიიდან.**

18 ივლისი, 1991 წელი.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის (საქართველოს კომპარტიიდან) წინადადებები საქართველოს კომპარტიაში რადიკალური დემოკრატიული რეფორმების გატარებისა და საქართველოს კომპარტიის სტატუსის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფს (საქართველოს კომპარტიიდან) მიაჩნია, რომ გაზეთ „ცხოვრების" 19 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული დოკუმენტი „რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარდამავალ პერიოდში საქართველოს კომპარტიის სტატუსის ზოგიერთი საკითხის შესახებ" ძირითადში იმეორებს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დადგენილების, პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის დებულებებს, სრულად არ ითვალისწინებს რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარე ეტაპის თავისებურებებს, მოსახლეობის განწყობას, არ შეესაბამება თვით პარტიაში არსებულ რეალურ სიტუაციას.

უფრო მეტიც, ყურადღების გარეშეა დატოვებული ყრილობისა და წინასაარჩევნო პროგრამის რამდენიმე პრინციპული ხასიათის დებულება, რომელთა მიღება მოხდა კომუნისტთა დიდი ნაწილის მოთხოვნისა და პარტიაში არსებულ დემოკრატიულ ძალთა დიდი აქტივობის შედეგად. კერძოდ წინასაარჩევნო პროგრამაში გაკეთებული განცხადება **„პარტიის მიზნები და ამოცანები არ შეესაბამება კომუნისტური პარტიის ტრადიციულად, სტერეოტიპულად გაგებულ შინაარსს. ამდენად, ბუნებრივად დადგა საკითხი პარტიის ორგანიზაციული წყობის, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების რადიკალური შეცვლის, იდეური მემკვიდრეობის, სახელწოდების, მის საქმიანობაში საკაცობრიო ღირებულებათა სწორად ასახვის შესახებ".**

**მიგვაჩნია, რომ ამომრჩევლებმა,** რომელთა მხარდაჭერითაც ჩვენ დეპუტატები გავხდით, ხმა მისცეს სწორედ ჩვენს საარჩევნო პროგრამას. ბრძოლა მისი შესრულებისათვის ჩვენი მოქალაქეობრივი და კონსტიტუციური მოვალეობაა.

დეპუტატების ჯგუფს მიაჩნია, რომ საქართველოს კომპარტიაში საჭიროა რადიკალური დემოკრატიული რეფორმების გატარება, საქართველოს კომპარტიის სტატუსის ზუსტი განსაზღვრა, პარტიაში არსებული მდგომარეობის ობიექტური ანალიზის საფუძველზე ეროვნული და საქართველოში მცხოვრები ერების წარმომადგენელთა ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების რეალური პროგრამის შედგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ვთავაზობთ გადაწყვეტილების შემდეგ პროექტს:**

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოხატავს რა ქართველი ხალხის, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა, ქართველ კომუნისტთა სწრაფვას საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ, ადასტურებს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის გადაწყვეტილებას საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობის შესახებ და საჭიროდ თვლის კვლავ გააკეთოს იმ ფაქტის კონსტატირება, რომ **საქართველოს კომპარტია გამოყოფილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან, არის პარლამენტური ტიპის პარტია, რომელიც უარყოფს როგორც საკუთარი, ასევე ნებისმიერი სხვა პარტიის ბრძოლას საზოგადოების ავანგარდის სტატუსისათვის.**

ამასთანავე, პლენუმი საჭიროდ თვლის:

ა) ოფიციალურად ეცნობოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ყოველივე ზემოხსენებული;

ბ) წერილის ტექსტი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში;

გ) გაეგზავნოს გაზეთ „პრავდას" და საკავშირო ტელევიზიას აღნიშნული ტექსტი.

მიზანშეუწონლად ჩაითვალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში საქართველოს კომპარტიის წევრთა ყოფნა.

2. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვან ეტაპად მიაჩნია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აპრილს მიღებული „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი", რომელმაც იურიდიულად დაადასტურა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

პლენუმი, გამოხატავს რა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას პრესაში გამოქვეყნებული სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტისადმი, იზიარებს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პოზიციას იმის თაობაზე, რომ საქართველომ ხელი არ მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ამასთან, შესაძლებლად და მიზანშეწონილად თვლის ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას როგორც საბჭოთა კავშირთან, ასევე მასში შემავალ სხვა რესპუბლიკებთან.

პლენუმს საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობის მიღწევის ერთადერთ სწორ გზად მიაჩნია პარლამენტური ბრძოლის გზა, ემიჯნება და არ იზიარებს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წინადადებებს კოლონიური ქვეყნის სტატუსის მოპოვებისათვის ბრძოლის და ეროვნული დაუმორჩილებლობის მოწყობის თაობაზე, რადგან მიაჩნია, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლა ეს არის ისტორიულად გარდუვალი პროცესი, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონი, რომლის შეცვლა ან შეჩერება არ შეუძლია არც ერთ ძალას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მთავარია, ეს გაკეთდეს ადამიანთა მსხვერპლის, ეროვნული შუღლის გაღვივების, დაპირისპირების, ეკონომიკური ბლოკადის მოწყობის გარეშე, რადგან ყოველივე ამან შეიძლება მოჰყვეს სამოქალაქო ომი. ამიტომ **პლენუმს დამოუკიდებლობისათვის პარლამენტური ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვან მომენტად მიაჩნია საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება და პრეზიდენტის პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა ქართველი ხალხის ნება, იბრძოლოს სრული დამოუკიდებლობისათვის.**

ამ საკითხში საქართველოს კომპარტია მტკიცედ უნდა დადგეს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გვერდით.

3. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკა ჯერჯერობით ფაქტობრივად იმყოფება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს იმ უაღრესად კრიზისული და კრიტიკული სიტუაციის გამო, რომელიც დღეს მთელს კავშირში შექმნილი: **„გარდაქმნისა" და „საჯაროობის" მეშვიდე წლისთავზე „ცენტრში" ძლიერდებიან ანტიდემოკრატიული ძალები, ტოტალიტარული რეჟიმის მომხრენი, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგნენ ისტორიულად კანონზომიერ პროცესს — საბჭოთა იმპერიის დაშლას, სუვერენულ სახელმწიფოთა შექმნას.**

ასეთ სიტუაციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი არათუ წინ აღუდგა ამ უარყოფით პროცესებსა და ტენდენციებს, არამედ ანტიდემოკრატიული პროცესების სათავეშიც დადგა. **სკკპ რიგებიდან დემოკრატიული ძალების გასვლამ მის საქმიანობას რეაქციული ხასიათი მისცა.** ამის კონკრეტული გამოხატულებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გვერდის ავლით სკკპ ცენტრალურ კომიტეტში აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის სტატუსის შესახებ საკითხის განხილვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულება „სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე მოვლენებისადმი.

4. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, **მომზადდეს ღია საპროტესტო წერილი სსრ კავშირის პრეზიდენტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვისადმი,** რომელშიც კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნება სსრ კავშირის ხელმძღვანელობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანტიდემოკრატიული, რეაქციული მოქმედების შედეგები, რომელიც უკვე მძიმედ გამოიხატა ერთაშორის შუღლის გაღვივებასა და ეკონომიკური ბლოკადის სახით.

საჭიროა საპროტესტო წერილი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში, დაეგზავნოს როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებს.

**5. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, მიიჩნევს რა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირში მიმდინარე დემოკრატიულ გარდაქმნათა შემაჩერებელ ფაქტორად, ადასტურებს პოზიციას, რომელიც საქართველოს დელეგაციამ წარუდგინა სკკპ XXVIII ყრილობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოკავშირე რესპუბლიკათა და სახელმწიფოთა კომპარტიებად დაშლის მიზანშეწონილობის თაობაზე.**

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პოზიციის შესახებ ეცნობოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებს.

პლენუმი გამოხატავს თავის პოზიტიურ დამოკიდებულებას სკკპ ალტერნატიული დემოკრატიული პარტიის შექმნის თაობაზე და თვლის, რომ საქართველოს კომპარტიამ რეალური კონტაქტები უნდა დაამყაროს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების დემოკრატიულ ძალებთან, რადგან სწორედ ყველა სახის **დემოკრატიულ ძალთა გაერთიანებას შეუძლია როგორც კომუნისტური პარტიის დაშლა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებად, ასევე სსრ კავშირისა — დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ამ ეტაპზე პლენუმს მიზანშეუწონლად მიაჩნია სკკპ-სთან რაიმე კონტაქტების შენარჩუნება.**

პლენუმს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე უნდა გაძლიერდეს სამოკავშირეო ხელშეკრულების საწინააღმდეგო მოძრაობა, უნდა გაძლიერდეს აგრეთვე მოთხოვნები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსა და საკავშირო ცენტრალური ორგანოების გაუქმების მიზნით.

6. იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობამ მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების სხვადასხვა ფორმის, მათ შორის კერძო საკუთრების არსებობას, სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობასა და პრივატიზაციას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, თავისუფალ მეწარმეობას და ამით უარყო კომუნისტური საზოგადოების მთავარი პოსტულატი — წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების მონოპოლიზაციისა და კერძო საკუთრების მოსპობის თაობაზე, აგრეთვე **გაემიჯნა ათეისტურ თეორიას და ქადაგებს სინდისისა და რწმენის თავისუფლებას, არ იზიარებს კლასობრიობას, ეროვნულ ინტერესებზე უპირატესობის თეორიას, იმის გამო, რომ მოძღვრება კომუნისტური საზოგადოების შესახებ დიდად განსხვავდება საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების პრაქტიკული საქმიანობისაგან, და ამასთან მიაჩნია, რომ მმართველ პარტიაში შესვლა იყო სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობა და არა ბრძოლა კომუნისტური იდეალებისათვის, — პლენუმი აყენებს საკითხს: რომ პარტიას მომავალში შეეცვალოს სახელი და იგი არ იწოდებოდეს კომუნისტურად.**

პლენუმს მიაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის, პარტიის წევრთა მოსაზრებების გათვალისწინებით და, რაც მთავარია, პარტიის საპროგრამო განცხადებიდან გამომდინარე, მოამზადებს წინადადებებს პარტიის სახელწოდების თაობაზე.

პლენუმის აზრით, საბოლოო გადაწყვეტილება პარტიის სახელწოდების თაობაზე უნდა მიიღოს საქართველოს კომუნისტთა საერთო გამოკითხვამ ან რეფერენდუმმა. მიზანშეწონილია, იგი ჩატარდეს მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში.

7. პლენუმი ძირითადში იწონებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამართლებრივი კომისიის მიერ მომზადებულ კანონპროექტს პოლიტიკური პარტიების შესახებ, **ამასთან მიზანშეუწონლად მიაჩნია:**

ა) ისეთი პოლიტიკური პარტიის რეგისტრაცია, რომელსაც ცენტრი აქვს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ;

ბ) პარტიებს ჰქონდეთ კომერციული საქმიანობისა და მეწარმეობის უფლება გარდა საგამომცემლო საქმიანობისა;

გ) წარმოება-დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირება.

8. პლენუმი იზიარებს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის პოზიციას, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მძიმე გზაზე უმთავრესია ეროვნული თანხმობა, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შეკავშირება, კონსტრუქციული დიალოგი საქართველოში არსებულ ყველა პარტიას, მოძრაობასა და გაერთიანებას შორის.

პლენუმს მიაჩნია, რომ დაპირისპირებით ზოგიერთი პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას ლამობს, და ამით ქართული საქმე კი ზიანდება. საჭიროა შემწყნარებლობა, მიმტევებლობა, ერთმანეთის პატივისცემა. დრო დაგვანახებს, თუ რამდენმა ულირსმა და განდიდების მანიით შეპყრობილმა „მოიპოვა" ავტორიტეტი სვისი, განსაკუთრებით კომპარტიის ლანძღვით.

პლენუმი საქართველოს კომპარტიის ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე მიმართავს ყველა პოლიტიკურ ძალას და აღნიშნავს, რომ კმარა საქართველოსა და ქართველი ხალხის წარსულ შეცდომებზე საუბარი, პარტიული მონანიება შეცდომათა გამო, თავდასხმები ისტორიაზე. **საჭიროა, ყოველდღიური პოლიტიკური ცხოვრების უფრო გამჭვირვალე და გონებამიერი ხედვა. საჭიროა აგრეთვე არა ჩასაფრება ან არათვითმიზნური ოპოზიციონერობა, არამედ ჯანსაღი ერთსულოვნება, როცა მართლისმთქმელს კი არ ებრძვიან, არ დევნიან და მტრად კი არ აცხადებენ, არამედ უსმენენ, მის მოსაზრებებს ითვალისწინებენ.**

9. აანალიზებს რა წარსულს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კვლავ ადასტურებს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დასკვნას: „საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია ნათლად განასხვავებს ერთმანეთისაგან ყოველივე იმას, რაც პატიოსანი, თავდადებული შრომით შექმნია მრავალ თაობას, იმისაგან, რაც პიროვნების კულტმა, ვოლუნტარიზმმა, უძრაობამ, ჰუმანისტური ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და იდეალების ფეხქვეშ გათელვამ წარმოშვა".

პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველგვარ ზნეობრივ საფუძველს არის მოკლებული, როცა პარტიის ცალკეულ ლიდერთა თუ ჯგუფის მიერ დაშვებული შეცდომები ბრალდება მთელ პარტიას, ყოველ მის წევრს, მაგრამ არ უარყოფს იმასაც, რომ, როგორც ყოველი პარტიისათვის, კომპარტიისათვისაც დამღუპველი იყო პასიურობაში გამოხატული ერთსულოვნება, კონფორმიზმი, როცა ზემდგომი ორგანოების ყველა გადაწყვეტილებას ვიღებდით შესასრულებლად ყოველგვარი კრიტიკული განსჯის გარეშე. ამის ფაქტები დღესაც არის, ამის გამეორების უფლება კი არ გვაქვს.

ამასთან, პლენუმი საჭიროდ თვლის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცეს საქართველოს კომპარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის ყველა იმ დადგენილებებს, რომელიც მიღებულია წარსულში და რომლებმაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს ზიანი მიაყენეს.

10. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი **გმობს წარსულის მავნე პრაქტიკას პარტიის წევრთა ჩამოდენისადმი მახვენებლობით გატაცების თაობაზე და მიაჩნია, რომ სწორედ ამან მიაყენა მთავარი დარტყმა პარტიის ავტორიტეტს, დასცა მისი საზოგადოებრივი პრესტიჟი, და შეარყია ხალხში პარტიისადმი რწმენა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სახელმწიფოს მმართველ პარტიად ყოფნის პერიოდში თანამდებობაზე დანიშვნის თუ პიროვნების წინსვლის ხათვის განმსაზღვრელ კრიტერიუმად იქცა კომპარტიის წევრობა, ბევრმა ულირსმა და კორუმპირებულმა პირმა მოახერხა მის რიგებში შესვლა და მისი სახელით მაფიოზური, ანტისახელმწიფოებრივი თუ ანტიეროვნული საქმეების კეთება.**

პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეტწილად სწორედ კონიუნქტურული განწყობის პიროვნებებმა დატოვეს მისი რიგები პარტიის კრიზისის პერიოდსა და არჩევნებში მისი დამარცხების შემდგომ, რომ სწორედ ასეთი პიროვნებები ესხმიან დღეს პარტიას თავს განსაკუთრებული გულმოდგინებით და ამით ცდილობენ ყურადღების მიქცევას, საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას, ახალ პირობებში ძველებურად დამკვიდრებას.

ამასთან დაკავშირებით, **პლენუმი იზიარებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 14 ივნისის სხდომაზე დეპუტატთა ჯგუფის განცხადების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება მაფიოზური ძალების გააქტიურებას,** სწორად მიაჩნია შეფასება, რომ მათ შორის არიან ყოფილი კომუნისტებიც, რომლებმაც დროებით უკან დახევით, პარტიის ლანძღვა-გინებითა და მისი რიგებიდან ხმაურიანი გასვლით ბევრგან ახალ ხელმძღვანელთა გარკვეული სიმპათიები და მხარდაჭერაც დაიმსახურეს და კვლავ წარმატებით განაგრძობენ მაფიოზურ საქმიანობას.

**პლენუმი გამოხატავს აღშფოთებას იმის გამო, რომ ბევრმა სახელგატეხილმა პიროვნებამ, მათ შორის არაერთმა ყოფილმა კომუნისტმა შეძლო ახალი ხელისუფლების ნდობის მოპოვება და მხარს უჭერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატთა განცხადებაში ჩამოყალიბებულ წინადადებას ასეთი ფაქტების შესწავლის მიზნით სპეციალური საპარლამენტო კომისიის შექმნის თაობაზე.**

11. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი არასწორად მიიჩნევს პრაქტიკას, როცა სერიოზული პოლიტიკური ანალიზის გარეშე ერთნაირად აკრიტიკებენ და თავს ესხმიან ყველას, ვინც გავიდა კომპარტიის რიგებიდან: ერთი მხარე, — პარტიიდან გასვლისათვის, მეორე კი — თავის დროზე პარტიაში შესვლისა და მასში ყოფნისათვის. ასეთი პოზიცია მიუღებელია. განსაკუთრებით მიუღებელია ასეთი მიდგომა მშრომელი ადამიანების, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიმართ. **დრო დაადასტურებს, რომ პარტიაში სწორედ ინტელექტუალური ძალების შესვლა იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც შესაძლებელი გახადა ის რადიკალური გარდაქმნები, რომლებიც განხორციელდა უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის, პარტიის დიქტატის და მისი ტოტალიტარული რეჟიმის დანგრევის, პარტიის ეროვნულ პლატფორმაზე დაყენების თვალსაზრისით. პლენუმს მიაჩნია, რომ ამის შეუფასებლობის უფლება არავის აქვს.**

12. პლენუმი უარყოფს რა წარსულის დოგმებს, ემიჯნება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, გამორიცხავს ყოველი კლასისა და ჯგუფის დიქტატურას, — **დასაშვებად თვლის პარტიაში, მის ხელმძღვანელ რგოლებშიც კი კონსტრუქციული ოპოზიციის არსებობას გარკვეული ჯგუფის თუ ფრაქციის სახით.**

13. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი არ იზიარებს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1991 წლისს 31 მაისის დადგენილებას ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტში (ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი) შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით; პლენუმს მიაჩნია, რომ ამ ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას სრულიად დამოუკიდებელი, პარტიული დაქვემდებარებიდან განთავისუფლებული ეროვნული პოლიტიკური ისტორიის ცენტრი (ან ინსტიტუტი).

14. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ითვალისწინებს ისტორიულ გამოცდილებას, რომ ყოველი პოლიტიკური პარტიის ავტორიტეტი და სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ემსახურება იგი თავისი ხალხის ინტერესებს, რამდენად ამკვიდრებს სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული ცხოვრების პრინციპებს, რამდენად იბრძვის ადამიანთა უფლებების დაცვისათვის და რამდენად წარმართავს იგი ყოველივე ამას მაღალზნეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით, მისი რიგების სიწმინდით, პატიოსნებით, კრისტალური და მართალი ადამიანების მეშვეობით, ყოველგვარი ხელოვნური დაძაბულობის, დაპირისპირების, ეროვნული შუღლის გაღვივებისა და მტრების ძიების გარეშე. ამის საფუძველზე პლენუმი საჭიროდ თვლის სწორედ ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით მოახდინოს პარტიის ორგანიზაციული წყობის, მისი შემადგენლობის, მოქმედების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა.

პლენუმს მიაჩნია, რომ დღეს, როდესაც ღრმა პარტიული კრიზისის შედეგად, მიმდინარეობს მისი რიგებიდან გასვლის ბუნებრივი პროცესი, როდესაც მის რიგებში დარჩენას გაცილებით მეტი შინაგანი პოლიტიკური ძალა სჭირდება, ვიდრე მისი რიგებიდან გასვლას, როდესაც პარტია დატოვა ბევრმა წესიერმა და პატიოსანმა, ხოლო გაცილებით მეტმა კარიერისტული და კონიუნქტურული ბუნების პიროვნებამ, ბევრმა სახელგატეხილმა და კორუმპირებულმაც, უპირველესი ამოცანაა, წინააღმდეგობა კი არ გავუწიოთ ამ პროცესს, არამედ **მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი განახლებული პოლიტიკური ორგანიზაციის ისეთ განვითარებას, რომ რაოდენობრივმა შემცირებამ უზრუნველყოს მისი ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, რომ მომავალში პარტიაში დარჩნენ ეროვნული ინტერესების გამომხატველი დემოკრატიული ბუნების წესიერი და პატიოსანი ადამიანები.**

პლენუმი თვლის, რომ დადგა დრო, როცა ყველამ, ვინც დღეს ითვლება პარტიის წევრად, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება პარტიაში ყოფნა-არყოფნისადმი, ეს პროცესი პარტიის სახელწოდების თაობაზე რეფერენდუმთან ერთად უნდა წარიმართოს და დასრულდეს სექტემბერში, რომ ოქტომბერ-ნოემბერში ყველამ მიიღოს ახალი ნიმუშის პარტიული ბილეთი.

●

წარმოგიდგენთ რა აღნიშნულ დოკუმენტს განსახილველად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისი მიღება დადასტურება იქნება იმისა, რომ საქართველოს კომპარტია მყარად დგას ეროვნულ პოზიციაზე, ხოლო რადიკალური დემოკრატიული რეფორმების გატარებით, პარტიის განახლება კიდევ უფრო სასიკეთოს გახდის მის საქმიანობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ვინც ამ პოზიტიურ ცვლილებებს ვერ ან არ ხედავს, ის ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამოდის და მას ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის განახლება ხელს არ აძლევს.

●

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არცერთი ზემოთ ჩამოყალიბებული დებულება ახალი არ არის.** აბსოლუტურად ყველა, არაერთგზის იყო დაყენებული (და არა მარტო აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმომწერთა მიერ) **სხვადასხვა პარტიულ ფორუმებზე 1990 წლის ოქტომბრამდე, უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე, უმეტესობა შევიდა საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში, მაგრამ მას არ მოჰყვა შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს კი განაპირობებს პარტიიდან დემოკრატიული და ინტელექტუალური ძალების გასვლას.**

ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ ანალოგიური და ბევრი სხვა საჭირო წინადადება, კონსტრუქციული და რადიკალურიც, არის პარტიაში, ასეთივე წინადადებები აქვს ბევრს — პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და პლენუმის შემადგენლობაში, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში მყოფ არაერთ პარტიულ მუშაკს და პირველად პარტიულ ორგანიზაციათა მდივანს. ჩვენც ვაგრძელებთ ჩვენივე წინადადებების სრულყოფა-დახვეწას, დოკუმენტის ახალი მოსაზრებებით გამდიდრებას, რადგან არ მიგვაჩნია იგი საბოლოოდ ჩამოყალიბებულად; უფრო მეტიც, **ბუნებრივია, რომ ზოგიერთი საკითხისადმი ჩვენს რიგებშიც იყოს განსხვავებული მიდგომა. ჩვენ ვართ საერთო პარტიული დისკუსიის მომხრე. მიგვაჩნია, რომ არცერთ ორგანოს — არც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, არც პლენუმს, მით უფრო რომელიმე ჯგუფს არა აქვს არც უფლება და, ბუნებრივია, არც პრეროგატივა პარტიისათვის ისეთ ფუნდამენტალურ საკითხთა გადაწყვეტაში, როგორიცაა პარტიის სტატუსი, მისი სახელწოდება, პროგრამა, ორგანიზაციული წყობა.**

სწორედ ამიტომ საჭიროდ ვთვლით დოკუმენტი პროექტის სახით სადისკუსიოდ გამოქვეყნდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთ „ცხოვრებაში", მოეწყოს მისი საჯარო განხილვა. დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო კომპარტიის წევრები, არამედ უპარტიოებიც მოგვაწვდიან თავიანთ მოსაზრებებს, რადგან არავისთვის არ არის სულერთი, როგორი იქნება პარტია: ძველებურად ტოტალიტარული თუ დემოკრატიული, პარლამენტური ტიპისა, მსოფლიოს პროგრესულ პარტიათა პოზიციებზე მდგომი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა შემოსულ მოსაზრებათა გათვალისწინებით მოხდეს პოზიციათა შეჯერება და შემდგომ დისკუსია მოეწყოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. **მხარს ვუჭერთ წინადადებას — უახლოეს პერიოდში მოწვეულ იქნას პარტიული კონფერენცია ან საგანგებო ყრილობა, რომელზეც შეჯამდება დისკუსიის შედეგები.**

ვთვლით, რომ პლენუმზე (კონფერენციაზე თუ ყრილობაზე) დადგენილების მიღება უნდა მოხდეს პუნქტობრივად და პერსონალურად. გაზეთში უნდა გამოქვეყნდეს, პლენუმის რომელმა წევრმა (კონფერენციის თუ ყრილობის დელეგატმა), რომელ პუნქტს დაუჭირა მხარი ან პირიქით, წავიდა მისი წინააღმდეგი. ასეთი წესი საშუალებას მოგვცემს თითოეული პუნქტი განვიხილოთ მაღალი პასუხისმგებლობით და მივიღოთ ისეთი დადგენილება, რომელიც გამოხატავს პარტიის აზრსა და ნებას და არა ცალკეულ, ყოფილ თუ დღევანდელ ფუნქციონერთა, კონსერვატულად განწყობილ პიროვნებათა სურვილსა და ამბიციას.

საქართველოს რესპუბლიკის დეპუტატთა ჯგუფი (საქართველოს კომპარტიიდან) თხოვნით მიმართავს გაზეთ „ცხოვრების", ქალაქებისა და რაიონების საკრებულოებთან და პრეფექტურებთან არსებული გაზეთების, რესპუბლიკის თავისუფალი პრესის რედაქციებს, გამოაქვეყნონ ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი პროექტის სახით.

**დეპუტატთა ჯგუფი თხოვნით მიმართავს საქართველოს კომპარტიის წევრებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის წევრებს, პარტიულ მუშაკებს,** მონაწილეობა მიიღონ საერთო პარტიულ დისკუსიაში. შენიშვნები, წინადადებები, მოსაზრებები შეიძლება გაიგზავნოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში — საერთო პარტიული დისკუსიის საორგანიზაციო კომიტეტში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 21 ივნისის პლენუმისათვის აღნიშნულ წინადადებათა წარდგენამ დიდი ინტერესი და აზრთა სხვაობა გამოიწვია. დოკუმენტის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვანაირი იყო — ზოგი კატეგორიულად უარყოფდა მას, ზოგი იწონებდა და დოკუმენტზე ხელის მოწერის უფლებას ითხოვდა. სწორედ ამიტომ ჩვენ შესაძლებლად ვთვლით ყველა დონეზე (პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები) მხარდამჭერთა ჯგუფების შექმნას. ჩვენ მზად ვართ, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, მხარდამჭერთა წინადადებით, ჩავიდეთ ნებისმიერ ქალაქსა და რაიონში და შევხვდეთ დაინტერესებულ პიროვნებებს.

ჩვენ არ ვართ არავითარი გათიშულობის და დაპირისპირების მომხრე. მზად ვართ კონსტრუქციული დიალოგისათვის. ჩვენი მიზანია ვიმოქმედოთ ისე, როგორც ხალხს დავპირდით წინასაარჩევნო პროგრამითა და წინასაარჩევნო შეხვედრებზე: **ვიბრძოლოთ საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობისათვის, მისი აღორძინებისა და დემოკრატიული განვითარებისათვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, ადამიანთა უფლებებს დაცვისათვის, ეროვნული თანხმობისა და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შეკავშირებისათვის.**

**მიგვაჩნია, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ეროვნულ პოზიციებზე მდგომ განახლებულ პარტიას.**

**ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ 1991 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ.**

**მინაწერი:**

დეპუტატთა ჯგუფმა ზემოაღნიშნული წინადადებები პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს 21 ივნისს წარუდგინა. შემდგომ პერიოდში გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნდა აღნიშნული პლენუმის მოხსენება, რეზოლუცია, დადგენილებები და ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრის მოსაზრებები.

**ჩვენ არ ვიზიარებთ ამ დოკუმენტების ბევრ დასკვნასა და დებულებას. მიგვაჩნია, რომ ისინი არათუ რეალურად ასახავენ პარტიაში არსებულ მდგომარეობას, არამედ ილუზორულ წარმოდგენას ქმნიან ყველასა და ყველაფრის მიმართ, ახალ თეორიულ აღმოჩენებად თვლიან იმას, რაც უკვე პროგრესულმა აზროვნებამ საკმაო ხანია უარყო, ან დაამკვიდრა ყოველდღიურ ცხოვრებაში.**

ჩვენის აზრით, პოლიტიკურად გაუმართლებელია და ძველი, დრომოჭმული, სტერეოტიპული აზროვნების შედეგია რეზოლუციასა და საგაზეთო წერილებში მოყვანილი ბევრი შეფასება, კერძოდ, რეზოლუციის პუნქტი, სადაც ნათქვამია: „პლენუმი მთლიანად უჭერს მხარს ამხანაგ ჯ. მიქელაძის მოხსენებაში მოცემულ პოლიტიკურ დასკვნებს, თეორიულ და მეთოდოლოგიურ დებულებებს, სამეცნიერო პრაქტიკულ რეკომენდაციებს, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს..." ვფიქრობთ კომენტარი ზედმეტია!

**შეიძლება კიდევ დავიმოწმოთ გაზეთ „ცხოვრების" 1991 წლის 3 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში მოცემული შეფასებები და დასკვნები:**

„10-15 წლის მანძილზე ასეთი მრავალმხრივი და ღრმაშინაარსიანი მოხსენება არ მომისმენია...?"

„მოხსენებაში პირველად მიეცა მარქსისტული შეფასება ცენტრალური კომიტეტის სამართლებრივი პრობლემების კომისიის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს..."

„მოხსენებაში ახლებურად არის დაყენებული არა მარტო თეორიული, არამედ მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური საკითხებიც...";

„მოხსენებაში დაყენებულია პარტიის ახალი პროგრამის მიღების საკითხი. ეს ახალი სიტყვაა პარტიულ მშენებლობაში, როგორც პოლიტოლოგიურ მეცნიერებაში."

„პირველად ამ მოხსენებაში ჩამოყალიბდა საქართველოს კომპარტიის მოძღვრება...";

საერთოდ გაზეთ „ცხოვრების" პლენუმისშემდგომ ნომრებში ბევრი მსგავსი შეფასება და დასკვნაა. შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ პლენუმმა და მოხსენებამ ახალი მარქსისტული თეორია მოგვცა!

ჩვენ პატივს ვცემთ წერილთა ავტორებს, არ უარვყოფთ თეორიის როლს პარტიის ცხოვრებაში, მაგრამ როცა დიდ მატერიებს ვეჭიდებით, მიწაზე მტკიცედ უნდა ვიდგეთ, ხალხს კი არ უნდა ვაბნევდეთ, ჩვენს ნაკითხობასა და განათლებულობას ვუმტკიცებდეთ, არამედ მოქმედების პრაქტიკულ პროგრამას ვაძლევდეთ, — ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეს, ყოველგვარი „ტრანსცენდენტური" და „ჰუმანური მარქსიზმის" გარეშე.

ჩვენთვის გაუგებარი და მიუღებელია პლენუმის რეზოლუციის ის ნაწილი, რომელიც კომპარტიისაგან დეპუტატთა საქმიანობას შეეხება. მოვიყვანთ ერთ ადგილს რეზოლუციიდან: „დეპუტატთა ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს კომპარტიის მრწამსის გამომხატველი კანონპროექტები და იბრძოლოს პარლამენტში მათი მიღებისათვის".

რა გამოდის? ვისწრაფვით იმისკენ, ვცდილობთ იმის დამკვიდრებას, რასაც უნდა ვემიჯნებოდეთ, რასაც უნდა უარვყოფდეთ. სხვა დასკვნა არ შეიძლება მოჰყვეს რეზოლუციის სიტყვებს — „კომპარტიის მრწამსის გამომხატველი კანონპროექტები".

**ჩვენ ვფიქრობთ, რომ პლენუმის ოფიციალური დოკუმენტების და საგაზეთო სტატიების გამოქვეყნებამ კიდევ უფრო საჭირო და აქტუალური გახადა საერთო პარტიული დისკუსიის მოწყობის საკითხი. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დისკუსია ხელს შეუწყობს დემოკრატიული ძალების გაერთიანებას ეროვნულ პლატფორმაზე, რაც საფუძველი გახდება იმისა, რომ საბოლოოდ ვუთხრათ უარი კონსერვატიზმს და ამოვძირკვოთ პარტიაში ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი რეაქციული განწყობილება, რომ პარტია საერთოდ განთავისუფლდეს კონსერვატორებისა და რეაქციონერებისაგან. სწორედ ამით და მხოლოდ ამით არის გამართლებული დღეს პარტიაში თითოეული დემოკრატის დარჩენა და მათი გაერთიანება საერთო პლატფორმაზე.**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲓᲐᲜ:**

**ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲝᲒᲘ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ, ᲑᲐᲙᲣᲠ ᲒᲣᲚᲣᲐ, ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲔ, ᲠᲝᲚᲔᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ, ᲕᲐᲟᲐ ᲙᲔᲟᲔᲚᲐᲕᲐ (ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ), ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ), ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔ ᲞᲐᲢᲐᲨᲣᲠᲘ, ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ), ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲠᲨᲐᲚᲝᲛᲘᲫᲔ (ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ).**

---

ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როკის საიდუმლოება

დღეს ოსი მოსახლეობა ამტკიცებს, რომ სოფელი როკი, რომელიც მდებარეობს როკის გვირაბის მისადგომებთან, არის ოსური სახელწოდება, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

„როკი" წმინდა ქართული სიტყვაა, სახელდობრ ის სვანურშია ფართოდ გავრცელებული.

მაგალითად, ორთითის ხეობის განშტოების ადგილს ლა-როკ-ას უძახიან. ლაროკს უძახიან აგრეთვე ადგილს, სადაც მწვერვალები ორად იყოფა.

საქვეყნოდ ცნობილ მწვერვალ უშბის წინ სამხრეთ მხარეს აშვერილია 100-მეტრიანი ორი კლდის სვეტი, რომლებსაც სვანები უშბის როკებს უძახიან (რუსეთმა რატომღაც ჟანდარმები დაარქვეს).

ჩემს უფროს ძმას ცერზე პატარა მეექვსე თითი აქვს გამოზრდილ-ი და დაბადებიდან დღემდე როკს უძახიან.

სწორედ ეს შეინიშნება სოფელ როკთან. ხეობის გასაყარში ამ „ლა-როკ-აში" არის სოფელი როკი, წმინდა ქართული ლამაზი სახელით, სვანური ტიპის კოშკით, რომელიც სოფლის თავზე დგას ნახევრად დანგრეული და ნაღვლიანად დასცქერის სოფელს.

დღეს შეიძლება ბევრს გაუჩნდეს სურვილი, კარგად დაათვალიეროს ეს ლამაზი, საქართველოს ძირძველი ადგილები, მაგრამ სამწუხაროდ დღეს ეს შეუძლებელია, ამ მხარეს საბჭოთა ჯარები „იცავენ".

**ᲓᲐᲗᲝ ᲙᲕᲘᲪᲘᲐᲜᲘ,**

**სრულიად საქართველოს ილია მართლის საზოგადოების წევრი.**

●

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

როკი არამარტო სამაჩაბლოს ტერიტორიაზეა: **ზემო როკი, ქვემო როკი, როკათა** საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება — სვანეთში, იმერეთში, სხვაგანაც მაგ. როკვარ კლდის სახელია ხაიშის ტერიტორიაზე (სვანეთი, მესტიის რ.). ტოპონიმიკის ლაბორატორიის საარქივო მასალებში მრავალი ტოპონიმია ფიქსირებული, რომელთა ფუძეშიც გამოიყოფა **როყ//როკა** ძირი. მკითხველისათვის უფრო დამაჯერებელი რომ იყოს, გამოქვეყნებული მასალებიდან მოვიტანთ მაგალითებს: **როკა//როკები)** უბანს ჰქვია მუქრუთში (ცაიათურა), **როკოფონი** ეწოდება ვენახსა და ტყეს პირველ სვირში (ზესტაფონის რ.). აქვეა **როკოფონის ღელე** (იხ. საქართველოს სსრ ტოპონიმია, 1, თბ., 1987) **როკ** ძირი გამოიყოფა **როკითში** (სოფელია ბაღდათის რ.).

სწორია დ. კვიციანის აზრი, **როკი** ძირძველი ქართული სიტყვაა. იგი შეტანილი აქვს სულხან-საბასა და ნ. ჩუბინაშვილს თავიანთ ლექსიკონებში. **„როკი** შტოს ძირი ...ამონაყარი", წერს საბა.

**„როკი** ტოტის ძირი ანუ კავი ნუჟრიანი", ვადასტურებს ნ. ჩუბინაშვილიც. **„როკა** იგივეა, რაც როკი".

**„როკ-ი** 1. ხის ტოტის ძირი ან ნუჟრიანი კავი. 2. ძვლის **წანაზარდი**", გვაუწყებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტი იცნობს ამ სიტყვას. იმერულსა და გურულ დიალექტებში **როკი** ნიშნავს „ხმელ შტოს, ხმელ ჯირკს". **გარეკახურში როკი (როკები)** ეწოდება მთის კლდოვან თხემს, მთის წანაზარდს. **„გარო-კილიაო"** იტყვიან გამხდარ ადამიანზე, აგრეთვე პირუტყვზე.

ტოპონიმ **როკში** რომ წმინდა ქართული სიტყვა დევს, ეს, როგორც ჩანს, კარგად იციან ოსმა სეპარატისტებმა. სწორედ ამიტომ იყო, რომ თავგამოდებით იბრძოდნენ — **როკი** შეეცვალათ **რუკ**-ით, რათა ბუნდოვანი გაეხადათ ეს გამჭვირვალე ქართული ტოპონიმი.

**ᲣᲩᲐᲜᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**

**თსუ ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორგანიზაცია „დას“-ის სათათბიროს განცხადება

**1991 წლის 20 ივლისი**

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლებაში“ გაერთიანებულ ორგანიზაციებთან მოქმედების ტაქტიკაში განსხვავებათა გამო, კერძოდ, იმის გამო, რომ ბლოკში შემავალი პარტიების ნაწილი წინააღმდეგია ბლოკის ყოველგვარი პირდაპირი ურთიერთობისა ხელისუფლებასთან, „დას“-ი გამოდის ბლოკის შემადგენლობიდან. „დას“-ი მადლობას უხდის ბლოკში დარჩენილ ორგანიზაციებს ერთობლივი საქმიანობისა და თანადგომისათვის და უსურვებს მათ წარმატებებს მომავალ პოლიტიკურ საქმიანობაში.

ამასთან, იმედს გამოთქვამს, რომ ამ ორგანიზაციებთან კეთილგანწყობილი საქმიანი თანამშრომლობა მომავალშიც შენარჩუნებული იქნება.

„დას“-ი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი არის საქართველოს არსებულ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი ორგანიზაცია, რომელიც ითვალისწინებს რა სხვებთან ერთად საკუთარ პასუხისმგებლობასაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესთა გამო, თავის უპირველეს მოვალეობად კვლავაც მიიჩნევს:

— შესთავაზოს საქართველოს ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე, ფართო საზოგადოებრიობას, საკუთარი მოსაზრებები ქვეყნის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს განვითარების შესახებ, ჩამოყალიბებული კონცეფციების, მოდელების, კანონპროექტების, სხვა დოკუმენტების სახით;

— შეაფასოს საქართველოში მოქმედი ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციისა და ინსტიტუტის ესა თუ ის ქმედება და საჯაროდ გამოთქვას თავისი პრინციპული მოსაზრება მათ შესახებ.

„დას“-ი მზადაა ითანამშრომლოს ნებისმიერ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, რომლისთვისაც მისაღებია მისი ასეთი პოზიცია.

---

# პატარა ბალერინა ოცნებობს...



ცეკვისა და მუსიკის სიყვარულმა მიიყვანა ტატა კევლიშვილი საბალეტო სკოლაში. ცეკვა სულ პატარაობიდან უყვარდა, მაგრამ ბალერინობა მაშინ გადაწყვიტა, როცა ნინო ანანიაშვილი ნახა „ჟიზელსა“ და „გედის ტბაში“. ძალიან მომეწონა მისი ქალური სინაზე, ლამაზი კაბა ეცვა, რაღაცით თითქოს მას ვგავდი კიდეც და უკვე ოცნებად გადამექცა ბალერინა გამოვსულიყავი, მეც მასავით მეცეკვაო — იგონებს ახლა ტატა.

9 წლისა იყო ტატა კევლიშვილი, როცა დედამ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიიყვანა. მისი პედაგოგი იყო თამარ ვიხოდცევა, რომელიც ადრე ნინო ანანიაშვილს ასწავლიდა. სასწავლებელშიც ნინოს მიამსგავსეს, ხშირად ნინოს ეძახდნენ და ეს ძალიან ეამაყებოდა. ტატას ძალიან უყვარს თავისი მომავალი პროფესია და დაუზარებლად შრომობს, ავადაც რომ იყოს, კლასიკური ცეკვის გაკვეთილს არ გააცდენს. გამოცდის წინ, როგორც ყველა ბავშვი, ისიც ღელავს, მაგრამ მისთვის ნიშანი არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ ბალეტი უყვარს, ეოცნებება ბალერინობა და ისწრაფვის აიხდინოს ოცნება. ძალიან უყვარს ჩაიკოვსკის „გედის ტბა“ და უნდა, რომ დიდ სცენაზე პირველად „გედის ტბაში“ იცეკვოს. მადლიერია თავისი პედაგოგებისა, განსაკუთრებით კი პირველი მასწავლებლის თამრიკო კრავეიშვილისა, კიდევ — მარგარიტა ზერცალოვასი და დიანა ხუციშვილისა.

ტატა კევლიშვილი ამჟამად 12 წლისაა, ნატიფი აღნაგობისაა და დახვეწილი მოძრაობები აქვს. პედაგოგები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მისი ოცნებაა მართლაც დაემსგავსოს ნინო ანანიაშვილს და მასავით დიდი ბალერინა გახდეს. ღმერთმა უსმინოს და ოცნება სინამდვილედ აუხდენოდეს.

**მანანა თევზაძე**

**სურათზე:** ტატა კევლიშვილი.

---

# „იბერიის“ კვალზე...



**სურათზე:** ჭაბუკთა შორის საქართველოს 1991 წლის ჩემპიონი თბილისის „ნორჩი იბერიელი“

**საქართველოში** არ გვეგულება დღეს გულშემატკივარი, რომელსაც ქართული ფეხბურთის მომავალი არ აფიქრებდეს. ტრიბუნების ციებ-ცხელება საგაზაფხულო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე თითქოს მიწყნარდა კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი აღმოჩნდა, ამის დასტური ჭაბუკთა შორის საქართველოს ეროვნული პირველობის (1974-1975 წლებში დაბადებული) საკმაოდ ლამაზი ფინალიც გახლდათ.

ჩემპიონატი ახალი ფორმულით (შემოდგომა-გაზაფხული) ჩატარდა. ინტერესიც მისდამი გაცილებით დიდი იყო. პირველობამ, რომელმაც გასული წლის შემოდგომაზე აიღო სტარტი, რესპუბლიკის 30 ჭაბუკთა გუნდს მოუყარა თავი, რომლებიც ორ ჯგუფად (აღმოსავლეთი და დასავლეთი) იყვნენ დაყოფილნი. გათამაშება ორ წრედ მიმდინარეობდა და ქვეჯგუფებში პირველ ოთხ ადგილზე გასულმა გუნდებმა ფინალური ტურნირი შექმნეს. შემდეგ კი გათამაშება ოლიმპიური სისტემით წარიმართა.

საბოლოოდ, გადამწყვეტ მატჩში, ერთმანეთს შეხვდა თბილისის ორი გუნდი — „ნორჩი იბერიელი“ და „შევარდენი-1906“.

პირველმა აღმოსავლეთ ქვეჯგუფში გაიმარჯვა, შემდეგ დაამარცხა ქუთაისის „განათლებისა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი. „შევარდენი-1906“ ამავე ქვეჯგუფში მესამე ადგილზე გამოვიდა, ხოლო შემდეგ აჯობა ბათუმის „მეგობრობას“ და თბილისის „ავაზას“.

ფინალური მატჩი ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა — გუნდებმა ტექნიკური და შემტევი ფეხბურთი აჩვენეს. თამაში „შევარდენისათვის“ არასახარბიელოდ დაიწყო. უკვე მეორე წუთზე „ნორჩი იბერიელის“ კაპიტნის, ირაკლი ნაზლიდისის მიერ მოედნის ცენტრიდან წამოწყებული კომბინაცია ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჯუმბერ ჩუხუამ მეტოქის კარის აღებით დაამთავრა. მეორე ბურთი ზურაბ უშვერიძის ანგარიშზეა, რომლის სოლო-რეიდი მარჯვენა ფლანგზე ლამაზი გოლით დაგვირგვინდა. ამას მოჰყვა „შევარდენის“ ნახევარმცველის, მალხაზ მესტუმრის საპასუხო ბურთი. მატჩის პირველ ნახევარში ზურაბ უშვერიძემ კიდევ ერთხელ „შეახსენა“ თავი მეკარეს, ხოლო მეორე ტაიმში „ნორჩი იბერიელის“ მიერ გატანილ ოთხ გოლს, „შევარდენმა“ ვერაფრით უპასუხა და დიდი ანგარიშით დამარცხდა კიდეც — 1:7. თავი გამოიჩინეს პაატა გამცემლიძემ და ჯუმბერ ჩუხუამ (ორ-ორი ბურთი).

ამრიგად, „ნორჩი იბერიელი“ ჭაბუკთა შორის საქართველოს პირველი ჩემპიონატის გამარჯვებული გამოვიდა. გუნდის ღირსებას იცავდნენ: გია გურგენიძე, კახა გოდერძიშვილი, მამუკა ბუცურეიშვილი, ზურაბ ჯიქიძე, მალხაზ ბურდული, პაატა გამცემლიძე, ირაკლი ნაზლიდისი, თამაზ კოტოიანი, ზურაბ უშვერიძე, ჯუმბერ ჩუხუა, მიშიკო ძოძუაშვილი, დავით იაშვილი, გელა გურგენაძე, ალეკო აბდუშელიშვილი, დავით დათუაშვილი, ალეკო ამირხანაშვილი, გიორგი დათუნაშვილი, ბექა პაატაშვილი. (მწვრთნელები — გივი ლომიძე და ნუგზარ ჩიტაური; სკოლის დირექტორი — ომარ უშვერიძე).

მეორე ადგილზე გასულ თბილისის „შევარდენი-1906“-ის გუნდს ავარჯიშებდნენ მწვრთნელები დავით ძიძიგური, ელგუჯა ხუციშვილი და ავთანდილ ნებიერიძე, ხოლო მესამე პრიზიორს — ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს — მწვრთნელები სერგო აპრესიანი და გოჩა გელაძე. ამ უკანასკნელებმა მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში, რომელსაც აბაშამ უმასპინძლა, დაამარცხა თბილისის „ავაზა“ — 4:2 (ბურთები გაიტანეს რამაზ მეშველიშვილმა, ბუბა ხელაშვილმა, ორესტი არისტადისმა, ლექსო მარგიანმა — ყველა სტუ; ზურაბ დვალიძემ და დიმიტრი მეტრეველმა „ავაზა“).

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პრიზის მფლობელი გახდა „ნორჩი იბერიელის“ თავდამსხმელი ჯუმბერ ჩუხუა (79 ბურთი).

ფინალურ მატჩში დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები: საუკეთესო ნახევარმცველებად აღიარეს ირაკლი ნაზლიდისი („ნორჩი იბერიელი“) და მალხაზ მესტუმრე („შევარდენი-1906“), ხოლო საუკეთესო ფეხბურთელებად მიიჩნიეს ზურაბ უშვერიძე („ნორჩი იბერიელი“) და გია სუხიტაშვილი („შევარდენი-1906“). ჯუმბერ ჩუხუას გადაეცა კიდევ ერთი სპეციალური პრიზი, როგორც ფინალური მატჩის ყველაზე შედეგიან ფეხბურთელს.

**რამინ ყურაშვილი**

---

# ფოტოკონკურსი

## გავშვები, ბუნება, მშვიდობა



საოცრებათა სამყარო
ევგენი სტარკოვი (პერმი)



მწყემსის შვილები
ბოლატ ომარალიევი (ტას-ბუგეტი, ყაზახეთი)



„ფრთხილად, ფოტოგრაფია!“
ბორის შტურმანი (ტამბოვი)

● გაგრძელება; დასაწყისი იხ. № 63, 66, 68, 69, 73, 74, 76, 79, 83.

წლეულს საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქს შეემატა ახალი, კომერციული უმაღლესი სასწავლებელი — „აგრობიზნესის ინსტიტუტი“, რომელიც ყოველწლიურად მიიღებს კონკურსის საფუძველზე შერჩეულ საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტებს, დასწრებულ სწავლებაზე, სადაც მომზადდებიან აგრარული ბიზნესისა და მენეჯმენტის საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც მომზადების გარკვეულ ნაწილს გაივლიან საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებში, ხოლო სწავლების ბოლოს დაიცავენ და მიიღებენ უმაღლესი განათლების დიპლომს.

## აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფირმა „რეპი“, აგრობიზნესის ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს აბიტურიენტთა მიღებაზე 1991-1992 სასწავლო წლისათვის, აგრარული ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტზე, შემდეგი სპეციალობებით:

— აგროსამრეწველო საწარმოთა მენეჯერი, ხუთწლიანი სწავლების ვადით — 25 ადგილი.

— აგრობიზნესის სამარკეტინგო-კომერციული სამსახურის მენეჯერი, ხუთწლიანი სწავლების ვადით — 25 ადგილი.

— საგარეო აგრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი, ხუთწლიანი სწავლების ვადით, 25 ადგილი.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა საშუალო ან საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე;
2. ატესტატი ან საშუალო-სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი);
3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
5. სამედიცინო ცნობა — ფორმა № 086/უ;
6. ოთხი ფოტოსურათი (3X4),
7. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებიდან, საიჯარო და ფერმერული მეურნეობებიდან მოვლინებული პირები სარგებლობენ უპირატესობით.

აბიტურიენტთა შერჩევა მოხდება ტესტირების საფუძველზე. კონკურსი ტარდება ორ ტურად.

I. ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში — გასაუბრება ზეპირი (გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა).

II. მათემატიკა — ტესტირება (წერა).

პირველი კურსის სასწავლო წლის გადასახადია 4750 მანეთი.

საბუთების მიღება წარმოებს კომისიის მიერ, ყოველდღე, გარდა კვირისა 10-დან 16 საათამდე. საბუთების მიღების ბოლო ვადაა 17 აგვისტო.

შესარჩევი კონკურსი იწარმოებს 19-დან 30 აგვისტომდე. სწავლება დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი № 37 (სტუდქალაქის ტერიტორია), აგრობიზნესის ინსტიტუტი.

ცნობები ტელეფონით: 22-64-24.

## კომერციული ბანკი „საქართველო“ — ახალი ტიპის ბანკი

კომერციული ბანკი
საქართველო
ГРУЗИЯ • GEORGIA
КОММЕРЧЕСКИЙ БАНК
COMMERCIAL BANK

**გაიხსნა ურთიერთხელსაყრელი კომერციული საქმიანობისათვის.**

დამფუძნებელნი: საქართველოს რესპუბლიკაში — სამეცნიერო-საწარმოო კონცერნი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია; რუსეთში — აორმი — ქ. მოსკოვის ცენტრის რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის სააქციონერო საზოგადოება, კოოპერატივი „მემკვიდრეობა“ (ისტორიული ძეგლების რეკონსტრუქცია და რესტავრაცია); „მოსმშენეკონომბანკი — (წლიური ბრუნვა 10 მილიარდ მანეთამდე).

შეიქმნა 1991 წ. მაისში.

საწესდებო კაპიტალი — 7 000 000 მან.

ბანკ „საქართველოს“ წლიური ბრუნვა 140 000 000 მან.

პარტნიორ-მეპაიეები ჰყავთ მოსკოვში, ციმბირში, პრაღაში, პარიზში, ხუთი წარმომადგენლობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში: ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ქუთაისში, თელავში.

ბანკი ახორციელებს შემდეგ ოპერაციებს:

— კრედიტები შეღავათიან პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის;

— კლიენტების საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურება და ფაქტორინგული ოპერაციები;

— საწარმოთა, დამოუკიდებელი ასოციაციების, კოოპერატივების თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა.

მეპაიეთა და აქციონერთა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები: გაყიდვა, დაბრუნება, შემოსავლის გადახდა.

ბანკი აფასებს ნდობას და უფრთხილდება საკუთარ რეპუტაციას.

მისამართი: 380012, ქ. თბილისი, შოთა იამანიძის 5. ტელ: 35-29-94.

ტელეფაქსი 8832-23-57-60.

ტელექსი 212183 Unier su.

**კომერციული ბანკი „საქართველო“
სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“**

**ვიქირავებ ოროთახიან კეთილმოწყობილ ბინას ქალაქის ცენტრში. გთხოვთ გამომეხმაუროთ. ტელ.: 36-57-61 (ნატა). წინასწარ გიხდით მადლობას.**

## თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი

**აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე.**

**დღის სწავლების განყოფილება:**

1. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები. 2. საბანკო საქმე და ფულის მიმოქცევა. 3. საბირჟო საქმე. 4. მენეჯმენტი და მარკეტინგი. 5. განათლების, ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები. 6. ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები. 7. საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები. 8. ისტორია. 9. საკურორტო საქმისა და სასტუმრო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები. 10. ტურიზმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები.

**საღამოს სწავლების განყოფილება:**

1. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი). 2. საბირჟო საქმე (ქართული და რუსული სექტორი). 3. ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები. 4. ტურიზმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები (ქართული და რუსული სექტორი). 5. საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები (ქართული და რუსული სექტორი).

გასაუბრებაზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები ასაკის მიუხედავად.

გასაუბრება ჩატარდება შემდეგ საგნებში:

ეკონომიკურ სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა. რუსულ სექტორზე: რუსული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა. ისტორიის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, უცხო ენა.

ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებებით. ჩარიცხვა ხდება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით. სწავლის ხანგრძლივობა დღის სწავლებაზე 4 წელი, საღამოზე 4, 5 წ. ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. დღის სწავლებაზე საფასური წელიწადში 4500 მან, საღამოზე კი 4000 მან.

ინსტიტუტში უფასოდ ჩაირიცხებიან აბიტურიენტები ბავშვთა სახლებიდან, მრავალშვილიანი ოჯახებიდან და I და II ჯგუფის ინვალიდები ლიმიტის ფარგლებში. სწავლების ფრიადოსნები და წარჩინებულები მიიღებენ სტიპენდიას.

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში შემსვლელ მსურველთა ცოდნის შესამოწმებლად გასაუბრებაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებიც გადაიხდიან ამ საქმისათვის დაწესებულ თანხას 40 მან. ოდენობით და განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ:

1. ცნობა განათლების შესახებ (დედანი);
2. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა № 086;
3. ცნობა სამსახურიდან;
4. ფოტოსურათი (6 ცალი ზომით 3X4);
5. პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას პირადად.

საბუთების მიღება სწარმოებს 22 ივლისიდან 5 აგვისტომდე, ყოველდღე, გარდა კვირისა 12-დან 18 საათამდე. გასაუბრება 6 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით; ჩარიცხვა 14 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

ინსტიტუტის მისამართია. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. № 55, 78-ე საშუალო სკოლა (მეტრო 300 არაგველი). ტელ. 74-21-92.

ინსტიტუტში იმუშავებენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მომუშავე მეცნიერ-მუშაკები.

## ეს საინტერესო სამუშაო თქვენ გელით!

კავკასიის ბირჟა

სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ ბირჟასთან ორგანიზებულ ალტერნატიულ სადაზღვეო ინსპექციაში ხელმძღვანელ სამუშაოზე იწვევს კვალიფიციურ და გამოცდილ სპეციალისტს.

ანაზღაურება ხელშეკრულების მიხედვით.

მიმართეთ ბირჟის საინფორმაციო სამსახურს მისამართით: ვაჟა-ფშაველას 72. ტელ. 38-46-90.

**სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“.**

## ვაჭრობის ზღურბლზე

მიმდინარეობს განცხადებების მიღება ვაჭრობაში მონაწილეობისათვის.

ვაჭრობაში მონაწილეობენ აქციონერები რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან; „კავკასიის ბირჟის“ უცხოელი პარტნიორები.

ვაჭრობაზე შეიძლება სახალხო მოხმარების საქონლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სამშენებლო მასალების, ელექტრომოწყობილობების, სათბობის, სატრანსპორტო საშუალებების წარმოდგენა.

ვაჭრობაში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ „კავკასიის ბირჟის“ საბროკერო ფირმების მეშვეობით.

საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, კოოპერატივებმა და ასოციაციებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროდუქციის თავისუფალ ფასებში რეალიზაციით ან შეძენით, ბროკერებთან დასაკავშირებლად უნდა მიმართონ საინფორმაციო ცენტრს.

ტელ. 38-46-90. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 72.

**სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“.**

**საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოს“ ექსპერიმენტული სარემონტო მექანიკური ქარხანა**

## გთავაზობთ

**ყველა სახის სათბობზე მომუშავე წყალგამცხელებელ ქვაბებს (ნიისტუ—0,9 გკ/სთ, ნიისტუ—მზ 1,1 გკ/სთ და ტგ 3/95—3 გკ/სთ) მცირე და საშუალო სიმძლავრის საქვაბეებისათვის.**

**დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:**

**ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, მუხაძის ქუჩა № 11, ტელ: 73-84-64, 73-86-76.**

**იჩქარეთ, გათბობის სეზონი კარზეა მომდგარი!**

## საავეჯო საწარმოო ფირმა

LGV

## სამუშაოდ იწვევს:

1. ხის დამამუშავებელ მედაზგეებს
2. ავეჯის ამწყობებს
3. მხერხავებს
4. მკერავებს
5. გადამკვრელებს
6. მღებავებს

მინიმალური გამომუშავება 1000 მან.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ქვემო ალექსეევკის დასახლება. ტელეფონები: 41-04-74, 41-04-80.

განცხადებები

# ალორძინება არგო

გვერდის ხარისხობები არის საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.


## კომერციული კომპანია „ბაჩი“ გეპატიჟებათ საუცხოო, ჯადოსნურ მოგზაურობებში შემდეგი მარშრუტებით:

1. მოსკოვი – პოლანდია – მოსკოვი – 5 დღე, (4 ღამე). გამგზავრება პოლანდიაში მატარებლით. მოსკოვიდან 36 კაციანი ჯგუფი. დაბინავება ქ. ლოსერში (პოლანდია) 3 ვარსკვლავიან სასტუმროში.
მომსახურება ავტობუსით, ორჯერადი კვება, ექსკურსიები: ამსტერდამი, ჰაგა „პატარა ვენეცია“-თემატური ექსკურსია. საგზურში შედის მაღაზიებისა და ავტობაზრების მონახულება.
II ვარიანტი: იგივე ტური, ჰაგის მაგივრად 1 დღე ბელგიაში.
25 ივნისიდან – ორგანიზაციების შეცვლის მიხედვით, ნებისმიერი თარიღი.
2. ტაილანდი – (ბანგკოკი-პატაია) – 8 დღე (7 ღამე)
დღე 1 – ტურის პროგრამა: ბანგკოკში ჩასვლა – დაბინავება სასტუმრო „მანჰეტენში“.
დღე 2 – ექსკურსია სასახლეში და ტაძარში
თავისუფალი დრო. სამხარი – ნაციონალური ტაისური სამზარეულო, ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი.
დღე 3 – ექსკურსია მცურავ ბაზარში, ექსკურსია ვარდების ბაღში, სამხარი რესტორან „ტამნუქტაი“-ში.
დღე 4 – გასვლა პატაიაში – გზად ნიანგების ფერმის და უძველესი ქალაქის მონახულება.
ჩასვლა პატაიაში – დაბინავება სასტუმრო „რეჯენტმარინა“-ში.
დღე 5 – სამეფო კუნძულის მონახულება – სადილით – ალკასარში ან ტაიფანის-შოუში.
დღე 6 – დასვენება ზღვის სანაპიროზე – ექსკურსია სპილოების ფერმაში. სამხარი „საზღვაო სამზარეულო“-ში (სხვადასხვა თევზისაგან მომზადებული საჭმელები, კალმახები, კიბორჩხალები, ლობსტერები).
დღე 7 – სოფ. პონგკუჩის მონახულება და სადილი. დღე 8 – საუზმე ბანგკოკის გავლით, დაბრუნება მოსკოვში, მგზავრობა აეროპლანის თვითმფრინავით.
ვადები: 9 სექტემბრიდან, 16 სექტემბრიდან, 27 სექტემბრიდან.
3. გერმანია – 4 დღე (3 ღამე) – გამგზავრება მოსკოვიდან. დაბინავება ბერლინში სამვარსკვლავიან სასტუმროში.
ტურისტებთან შეთანხმებით ექსკურსია მოეწყობა ავტობუსით საავტომობილო ბაზრების დათვალიერების მიზნით გადმოფრენა მოსკოვში – აეროპლანით.
4. შვეიცარია – 3 დღე (2 ღამე) – აეროპლანის თვითმფრინავით და უკან.
დაბინავება პანსიონატში ოცი კილომეტრი ციურიხიდან. ექსკურსია ციურიხში ორჯერადი კვებით.
5. ტური „იტალიის ქალაქები“ – 8 დღე (7 ღამე) აეროპლანის თვითმფრინავით მოსკოვიდან.
ვადები: 34 კაციანი ჯგუფი – 1 სექტემბრიდან, 8 ოქტომბრიდან.
პროგრამა:
1 დღე – ჩასვლა მილანში – სადილი, ექსკურსია ქალაქში, ქალაქ ეზელოს მონახულება. დაბინავება სასტუმროში „ვენეციური ლაგუნა“ (3 ვარსკვლავიანში).
2 დღე – დასვენება ეზელოში თავისუფალი დროს.
3 დღე – საუზმე – ექსკურსია ვენეციაში თბომავალზე. სადილი ვენეციაში. საექსკურსიო პროგრამა.
4 დღე – დასვენება ეზელოში. ბაზრების, მაღაზიების მონახულება. საღამოს პროგრამა.
5 დღე – ექსკურსია ქალაქ პადუაში, მთელი დღით (ავტობუსით). სადილი რესტორანში „იტალიური სამზარეულო“
6 დღე – ექსკურსია ქ. ვერონაში მთელი დღით (ავტობუსით) სადილის გარეშე სამხარი ეზელოში.
7 დღე – ექსკურსია „იტალიური პროვინცია“ ღვინის ქარხნების მონახულება და დეგუსტაცია. თავისუფალი დრო.
8 დღე – გავლით მილანში. გადაფრენა მოსკოვში – 16სთ 50წთ.
6. „დიადი ჩინეთი“ – 8 დღე (7 ღამე) თვითმფრინავით მოსკოვიდან და უკან. 35 კაციანი ჯგუფი.
ვადები: 3 – 11 ივლისის ჩათვლით, 7-დან 15 აგვისტოს ჩათვლით, 14-დან 22 აგვისტოს ჩათვლით, 4-დან 12 სექტემბრის ჩათვლით.
პროგრამა
დღე 1 – ჩასვლა პეკინში. დაბინავება სასტუმროში.
დღე 2 – ექსკურსია ქალაქში – ექსკურსია – „ტიან-ან მინი“ – მოედანი, „საიდუმლო ქალაქის“ მონახულება, სამხარი (ჩინური სამზარეულო)
დღე 3 – საუზმე. მთელი დღით გასვლა ჩინურ კედელთან. მინგას სამარხის მონახულება
დღე 4 – პეკინის ზოოპარკის მონახულება და იმპერატორის საზაფხულო სასახლის მონახულება.
5, 6, 7 დღე – თავისუფალი დრო. ორგანიზებული მონახულება მაღაზიისა „დრუჟბა“. აბრეშუმის, მარგალიტისა და თევზის ბაზრების მონახულება.
დღე 8 – გამომგზავრება მოსკოვში.
7. ტური – პარიზი-ნიცა – 4 დღე (3 ღამე). გადაფრენა მოსკოვიდან, ჩასვლა პარიზში. ექსკურსია ქალაქში. სადილი. ნიცაში გამგზავრება მატარებლით. 4 ვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავება, მხოლოდ საუზმე. ექსკურსია.
9. კომერციული კომპანია „ბაჩი“ გიწვევთ 20-დან 27 ივლისამდე ბალტიკის ზღვის სანაოსნოს ყველაზე კომფორტაბელურ თბომავალზე „ბალტიკაზე“ გერმანიაში სამოგზაუროდ.
საგზურის ღირებულება ანაზღაურდება მხოლოდ მანეთებში. მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ ვალუტა 200 დოლარის ოდენობით.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
ალექსანდრე კაზბეგის ქ. 10/38. კომერციული კომპანია „ბაჩი“. ფირმა „თეკლეს“ შენობაში.
ფინეთი – 4 დღე და 3 ღამე (მგზავრობა მატარებლით), სექტემბერი, ოქტომბერი.
შვეცია – 29.09 – 4.10 (გემით „ილიჩი“), სექტემბერი, ოქტომბერი.
გერმანია – 15 – 22 ნოემბერი (გემით „ანა კარენინა“).
გერმანია (ჰამბურგი) – პოლონეთი (ლოძი), სექტემბერში.

---

## ბეჭდავს

# გთავაზობთ

— წიგნებისა და ჟურნალების —
— გაზეთებისა და ბროშურების —
— რეკლამებისა და ბლანკების —
— აფიშებისა და ეტიკეტების —
— სავიზიტო ბარათების —

**აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.**

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

**ჩვენი სახით თქვენ შეიძენთ საიმედო პარტნიორს!**

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 130, ტელ: 35-26-44

---

იყიდება ავტომანქანა „მერსედესი-250“

დარეკეთ: 22-57-23

მისამართი: კოსტავას ქ. №60 ბ.23

---

იყიდება

ახალი ტელევიზორი „შარფი“ — 72სმ დიამეტრით. იტალიური სარეცხი მანქანა, ფრანგული ელექტროღუმელი „მუნილექსი“.

მსურველებმა დარეკეთ: 39-86-34.

---

კოოპერატივი „ფუნდამენტი“ ამზადებს:

1. შპალიერის სახატავ დაზგებს, სიმძლავრით 30 ათასი მეტრი ცვლაში;
2. სპორტის სახელ ხაზს, სიმძლავრით 1 ტონა დღეში;
3. ძეხვის დამამზადებელ ხაზს, სიმძლავრით 300 კგ დღეში;

კოოპერატივის მისამართია: გორი, პუშკინის ქ. 2ა.

ტელეფონები: 2-62-73, 2-54-78.

---

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დიაგნოსცირება შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიდოზის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნულ ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას ან ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება.
კოოპერატივი „დასტაქარი“
სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე
დასვენების დღე კვირა ტელ. 39-57-63

---

## საბროკერო ფირმა „ა თ ი“

ნებისმიერ სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, მცირე საწარმოებს, ყველა იურიდიულ პირს და კერძო პირებს დაგეხმარებათ ფართო ასორტიმენტის საქონლის შეძენაში თბილისის უნივერსალურ ბირჟაზე.

მისამართი: 380059, ქ. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვარტალი, 18 კორპუსი, მე-11 სართული, ტელეფონი 51-67-30.

სსრკ ბანკის საქართველოს სამოპერაციო სამმართველო.
კომერციული ბანკი „იმედი“.
დებიტირებული ანგარიში №000161912 მფო 521006 ფირმა „ათი“.
მოკორესპონდენტო ანგარიში №345003

---


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.